ჩვენი გაზეთი 100 წლისაა!

„ჩინგუტი საქართველოა, სიმღერი ჩვენ ვართ ყველაო“

ოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2023 წელი ● №9-10 (9551-9552) ● 1-31 მაისი ● ფასი 1 ლარი და 40 თეთრი



კომუნა

№ 2 კვირა 6 მაისი 1923 წ. ყოველ-კვირეული გაზეთი ფასი 20.000 მ.წ. № 2

სალამი ძვირფას სტუმრებს!
სალამი კომუნიზმის ნორჩ ყვავილებს!
სალამი კომუნისტურ სახელმწიფოს მომავალ კალატოზებს!

ითურგალე სალამი სენაკის მაზრის მოწვეთა პირველი კონფერენციის დელეგატებს!
საბჭოთა ხელისუფლება თბილად ეხუტება თქვენ შშრომელურ გულში.

სალამი მოწვეთა კონფერენციას!

5 მაისი „ეუფათის პრესის დღე“

კოლხური შეძახილით ამხნევებს ქვეყანას

გაზეთი მხარის, ქალაქის, რაიონის, დაბის მემატიანეა, იქაური ცხოვრების მაჯაზე მოყურადეა. ავისთვის ავის, კარგისთვის კარგის დამრქმევია. გაზეთს ბევრი რამ ძალუძდა, ახლაც ძალუძს და მომავალშიც ექნება ძალა, უკეთესობისაკენ მიუთითოს საზოგადოებას, თვითონვე იქცეს მოთავედ, წინმავლად. გაზეთი „კოლხეთი“ სიმართლის მსახურია. არ არსებობს საქვეყნო თუ სხვა მასშტაბის სატკივარი, იგი რომ არ ეხმიანებოდეს, სენაკელთა თვალსაზრისს არ უმხელდეს ქართველოობას, კოლხური შეძახილით არ ამხნევებდეს ქვეყანას.

„კოლხეთს“ კაი ხანია ვკითხულობ, ვაკვირდები, ვფიქრობ, მომწონს... მომწონს რედაქციის დამოკიდებულება საქვეყნო საქმეებისადმი, თანამშრომელთა პროფესიონალიზმი, თავდადება და გულისხმიერება.

„კოლხეთი“ იუბილარია, დიდი ასაკის გაზეთია, კიდევ დიდხანს და დიდხანს გეღვაწოთ სენაკისა და ქვეყნის სამსახურში.

გილოცავთ!

ელგუჯა თავბერიძე,
მწერალი, შპს „ხომლი ენ“-ის დირექტორი

საზოგადოებრივი მოვლენების სარკე

1 მაისი სენაკისთვის მნიშვნელოვანი თარიღია - გაზეთ „კოლხეთს'', ბეჭდური სიტყვის ეპოქალურ ორგანოს, დაარსებიდან 100 წელი შეუსრულდა.

1923 წლის 1 მაისიდან დღემდე, „კოლხეთმა'' დროის ქარტეხილები ისე გადალახა, რომ საკუთარი ნიშა არ დაუკარგავს და დღესაც ღირსეულად დგას ქვეყნისა და მშობლიური კუთხის სამსახურში.

გაზეთი „კოლხეთი'',საუკუნის მანძილზე, პირუთვნელად ასახავდა კულტურული ტრადიციებით მდიდარი კუთხის მაჯისცემას. იგი უცვლელად იყო სენაკის მემატიანე, მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენების სარკე.

ამ საქმეს არაერთი დამსახურებული ჟურნალისტი და გამორჩეული პიროვნება ემსახურებოდა.

„კოლხეთის» რედაქციასთან მრავალი სახელოვანი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე და ხელოვნების წარმომადგენელი თანამშრომლობდა. მის წიაღში აიდგა ფესი სენაკის ბევრმა ღირსეულმა შვილმა.

საიუბილეო თარიღს ვულოცავ ყველა თაობის კოლხეთელს და პროფესიულ საქმიანობაში წინსვლასა და წარმატებებს ვუსურვებ.

ვახტანგ გადელია,
სენაკის მუნიციპალიტეტის მერი



პროლეტარიატო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

„მოჯიანი კოლექტივიზაცია“

გამოცემის მე 8-ე წელი

ს.კ.პ. /ბ/ ცხაკაიას (სენაკი) რაიკომის და რაიალმასკომის ორგანო

სამშაბათ

= 18

მაის

1937

№ 25 (39

სწორად ჩავატაროთ შემოწმებითი გამოცდები

დამთავრდა მეოთხე მეოთხედი. 29 მაისიდან იწყება შემოწმებითი გამოცდები. გამოცდები უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს მთელ პედაგოგიურ კოლექტივს. ძირითადი ამცანაა: არც ერთი მოუმზადებელი მოსწავლე მო-

მე-10 კლასის გამოშვებასთან იხმება ფრიადსანობის საკითხი. ამ მხრივ გვაქვს წარსული წლის მწარე გამოცდილება. ფრიადსნებმა ვერ გაამართლეს იმედები. მათი ნაწილი უძლური აღმოჩნდა

გაზეთ ზაკ

ხორშის კოლ
მუშაობის სწო
ციით შესძლეს
თლის კრეფის
გეგმის 15 მაის

პროლეტარიატო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

აჭანბარდი

საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს ორგანო

№ 88 (3.247) ოთხშაბათი, 26 ივლისი, 1961 წ. ფასი 2 კ.

ჭ ა ბ ა

ზევრი არ მოიძებნება ქვეყნად სოფელი, რომლის ცხოვრებაც ასე ფორმა ბაებანოს თავის ფეიზლ. ბაეთ ამ ჩარბალს აარეფნა ეს ინფორმაციი ბეთი. ბეთარ ბენიოლის ბიოფარაფიამ პირველივე სტრიქონებსა ფეიდ ფრ ბრ ბრ ბეთ ბეთ ბეთ

ინტერვიუ იუბილართან

შენიდან ჩემამდე 100 წელია



გაზეთის 50 ნლის იუბილე

„კოლხეთო“, ვამაყობ მხარის ჟურნალისტიკის სათავეებთან რომ მოიაზრები. ამ არეალში შენ ხომ ბეჭდური მედიის პირველი მერცხალი ხარ. მოგვიყევი, როგორ დაიწყო ეს ყველაფერი?

ესაა ბოლშევიზმის ეპოქა, რევოლუცია უკვე მომხადრია, შექმნილია ე.წ. სსრკ.ს ერთობა და როგორც მაშინ ამბობდნენ, ქვეყანა სახელმწიფოს მშენებლობის ახალ ეტაპზე გადავიდა. აღნიშნულ მშენებლობაში ერთ-ერთ იარაღად მედია იქნა მიჩნეული, ამიტომაც პარტიული ნომენკლატურა მთლიანად ჩაება პრესის მუშაობაში. ჰოდა ასე, სსრკ-ს ერთ პატარა რესპუბლიკის პანაწუნა სენაკის მაზრაში,ჟასმინის თვეში, 1923 წ. 1 მაისს დავიბადე, სახელად „კომუნა“ დამერქვა.რაც უფრო ვიზრდებოდი, სიმწიფის ასაკში შევდიოდი, სახელწოდებებიც შესატყვისად მეცვლებოდა. ასე გავხდი ჯერ „მთლიანი კოლექტივიზაცია“, მერე „ავანგარდი“, შემდეგ „კოლხეთის ცისკარი“ და ბოლოს „კოლხეთი“. ასე ვიშვი ხანგრძლივი საგამომცემლო ისტორიის, ტრადიციების მქონე მაზრის ადმინისტრაციულ ცენტრში. აქ სტამბა ჯერ კიდევ 1890 წლიდან არსებობდა და იბეჭდებოდა უნიკალური წიგნები.

გამოდის რომ თქვენ პარტიული გაზეთი ხართ და მეტი არაფერი?

თანამედროვენი სულსწრაფები ხართ, უფროსების პატივსცემა დაივიწყეთ, არ ვიცი, მათი გულისტკენა თქვენთვის რატომაა ტრენდული?

თქვენ ხომ წარმოდგენა არა გაქვთ, რა ნარეკლიანი – გზით ვიარე. მაგალითისთვის დიდ სამამულო ომის პერიოდს გავიხსენებ, როცა ყველა სრულწლოვანი და შრომისუნარიანი ფრონტზე იყო გაწვეული, მათ შორის ჩვენი რედაქციიდანაც, ოჯახებიდან 2-3-4 და მეტნიც ომში იყვნენ, აქაურობა კი არასრულწლოვნებისა და მოხუცების ამარა იყო დარჩენილი, როცა სამყოფი არაფერი იყო, გასაკეთებელ-საშრომი კი უამრავი, სამკუთხა ბარათებით „მოტანილი“ ტკივილი კი აურწყავი, მაშინ მე ჩემი ვალის შესრულებით ვცდილობდი საზოგადოების სულისა და გულის გათბობას, გამხნევებას, სასიკეთო საქმეებში მათი ჩართვის სურვილის გაჩენას. ვწერდი მათ საჭიროებებზე, ომში მოპოვებულ გამარჯვებებზე, გმირულად დაღუპულებზე, ახალგაზრდებს ვახალისებდი პატრიოტული სულისკვეთებით. ყველანი ომში გამარჯვების სულისკვეთებით ვცხოვრობდით და ჩვენი სიმდიდრე ერთმანეთისთვის გაცემული სითბო და სამშობლოს სიყვარული იყო.

მაპატიეთ, თუ გაწყენინეთ, მაგრამ თქვენ დროს არ იყო რეპრესიები, თუნდაც 1937 წლის მოვლენები?

ისევ შხამი და ბოღმა, თქვენ რა ადამიანები ხართ, როგორ წარმოგიდგენიათ, რეპრესიებს მე ვგეგმავდი და მომყავდა სისრულეში თუ? რათქმა უნდა იყო, უამრავია ასეთი შავი ლაქა ისტორიაში, მაგრამ – მე უბრალოდ იმ პერიოდში დავიბადე, იმ დროის შესატყვისი მოცემულობით ვწერდი, რა? თქვენც ასე არა ხართ?

თქვენ არასწორად გამიგეთ, მე გითხარით, რომ თქვენ პარტიული იდეოლოგიის გაზეთი იყავით.

მოსმენილის გაგება უნდა შეგეძლოთ, შიშველი ემოციები ცუდი მეგობარია. მაშინ ერთპარტიული სისტემა იყო, სხვანაირად როგორ წარმოგიდგენიათ? მიუხედავად პარტიული ზედამხედველობისა, საინტერესო, ნაყოფიერი, მნიშვნელოვანი მიღწევებით სავსე ცხოვრებით ვიცხოვრე. თქვენ არ გაინტერესებთ ამ 100 წლის მანძილზე რა გზა გამოვიარე, რას ვწერდი, ვის რა საგზალი გამოვაყოლე, რა იყო ჩემი საქმიანობის დედა-აზრი?

რა იყო?

დღიდან არსებობისა ვწერდი დროის მაჯისცემით დაღდასმულ სტატიებს. იმ დროისთვის აქტუალურ საკითხებზე, ეს იქნებოდა წერაკითხვის უცოდინართათვის შესაბამისი წრეებისა და ქოხ-სამკითხველოების გახსნის, მიწების გლეხების საკუთრებაში გადაცემის, არჩევნების, მეურნეობათა შექმნის, რამის მოყვანისა და მისი გადამამუშავებელი არტელის, ჩაის, ციტრუსოვნების, ეთერზეთოვანი კულტურების განაშენიანების შესახებ, ჯანმრთელობის, კულტურის, განათლების... ახალახალ კერების გაჩენაზე, როგორიცაა კურორტი მენჯი, ხალიჩების კომბინატი, ჩაის ფაბრიკები, სამშენებლო საწარმოები, სახალხო მეურნეობის დარგები და ასე შემდეგ.

ჩემს გარეშე რაიონის არცერთ წარმატებასა და მიღწევას არ ჩაუვლია, მე ვაანონსებდი შრომით ვახტზე გამარჯვებების სერიებს, სადაც მოცემული იყო თქვენი ბებია-ბაბუების, დედების, მამების თაობის შრომითი მამაცობები, ვიყავი საყოველთაო განათლების პროპაგანდისტი, ახალგაზრდების დამკვალიანებელი, მეცნიერებაში მიღწევების პოპულარიზატორი... „რუბრიკით სპეციალისტის რჩევები“ მოსახლეობისთვის ყოველდღიურად საჭირო თემებს ვაშუქებდი, ისტორიასაც პატივს მივაგებდი, ნაკლოვანებებსაც, დანაშაულთან ბრძოლის საკითხებსაც ვუთმობდი გვერდს. ყრილობის, მთავრობის დადგენილებებსა და ბრძანებებს, პარტიულ კრებებსა და სწავლებებს, კომკავშირულ მიღწევებს... თავისთავად გამორჩეული ადგილი ეთმობოდა. სამამულო ომზე უკვე მოგახსენეთ, მის შემდეგ მშვიდობიან პერიოდში აღმშენებლობის ყოველდღიურ რეჟიმის ამსახველ ხუთწლედების, შრომის დამკვრელების, სოციალისტურ შეჯიბრებებში გამარჯვებების, სოციალისტური გმირების,... გარდამავალი დროშებით, მედლებით, ორდენებით დაჯილდოებებს ვმასპინძლობდი.

ასევე ავსახავდი 90-იანი წლებისა და მის შემდგომ რეალობას, ვწერდი ძმათა შორის დაპირისპირებებზე, სამოქალაქო ომის სავალალო შედეგებზე. ერთ ფაქტს გავიხსენებ. ეს იყო მაშინ, როცა სამთავრობო ძალებისა და პირველი პრეზიდენტის მომხრე შენაერთების გასვლა-შემოსვლა, დაპირისპირების ეპიცენტრი გავხდით. მაშინ, მეტად დაძაბულ ჟამს, „მომეცით ნება, მჯეროდეს თქვენი“ - ამ სათაურით დავბეჭდე მოწინავე. წერილი რეზონანსული გახდა, ყველა მხარისა და დაპირისპირებულ ძალთა ინტერესი გამოიწვია, შედეგად საპასუხო წერილიც მივიღეთ, სათაურით: „დამირთავს ნება, გჯეროდეთ ჩემი“

განუკითხაობის ხანამ მეც დამაზარალა, ჩემი სამუშაო სივრცე, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საუკუნოვანი სტამბა ხანძარმა შთანთქა, ერთ წამში აალდა მისხალ-მისხალ დაგროვილი და აკინძული განვლილი გზის „საგანძური“.

მინდა თქვენს ნათქვამს დავუბრუნდე, ჩემს ფუნქციაზე, რომ ბრძანეთ –მართალია კ.პ. სამაზრო კომიტეტისა და აღმასკომის ორგანო ვიყავი, მაგრამ მიუხედავად ამისა ჩემი უპირველესი ტვირთი იყო საგანმანათლებლო ფუნქცია. აი რას ვწერდი დაბადებიდან პირველ ნომრებში. „უნდა გადმოვისროლოთ ლოზუნგი: „გაზეთი – სოფლისკენ!“. და ეს ლოზუნგი რელურ სინამდვილეში უნდა განვახორციელოთ. – მუშათა გაზეთმა უნდა მიაღწიოს უკანასკნელ მივიწყებულ სოფლის გლეხის ქოხამდე. – ყოველ 10 გლეხზე უნდა მოდიოდეს თითო ცალი გაზეთი მაინც. – გაზეთის საშუალებით სოფლის გლეხი დაამარცხებს თავის მტერს – სიბნელეს, უვიცობას“ (,,კომუნა” №2).

ასე რომ ჩემი მუშაობის არსი იყო, არის და იქნება ხალხის კეთილდღეობა.

უკვე მხცოვანი ბრძანდებით. ძალა შეგწევთ გააგრძელოთ გზა?

ჩემო მეგობარო, შენიდან ჩემამდე 100 წელია, დროის ამ მონაკვეთზე ალბათ ტომები დაიწერება, რადგან იგი მოიცავს სულით და გულით სპეტაკი, თავიანთი საქმის პროფესიონალ, გულმხურვალე ადამიანების შემოქმედებით და რეალურ ყოფასთან წილნაყარ სარედაქციო საქმიანობას. თავიდან ხომ ტექნიკა დღევანდელივით განვითარებული არ იყო, ანბან-ანბან ხელით იწყობოდა ტექსტები, რომელიც დიდ ნებისყოფას, წვალებას, დროს და შრომას საჭიროებდა. ვინ იცის რამდენს დასთენებია სტამბის საამწყობო საამქროში, კორექტირების პროცესში, ნომრების მომზადებასა თუ დაგეგმვაში.

მინდა ამ წლების მანძილზე რედაქციის თითოეული მუშაკი გავიხსენო და მათ სულებს მოვეფერო, მადლობა ვუთხრა გაწეული საქმიანობისთვის. სხვა მრავალთან ერთად დღეს მე და შენ ერთმანეთს რომ ვესიტყვებით, მათი დამსახურებაა.

ასე რომ, წლების მანძილზე დაგროვილ ცოდნა-გამოცდილება, თქვენი საქმეზე კონცენტრირება, თანამდგომთა კეთილგანწყობა, მაძლევს ძალას კვლავაც ვიყო პროფესიისა და ჩემი საყვარელი მკითხველის ერთგული.

ნინო სართანია

ღირსეულად აგრძელებს ტრადიციებს

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავ გაზეთ ,,კოლხეთს», რედაქციის თითოეულ თანამშრომელს, ბეჭდვითი სიტყვის ეპოქალური ორგანოს 100 წლის იუბილეს.

საუკუნის ისტორიის მქონე გამოცემა ასახავდა დროის მაჯისცემას, ეპოქალურ სულს, რომელსაც თაობები ქმნიდნენ. დაარსებიდან დღემდე, „კოლხეთი» უცვლელად იყო სენაკის მემატიანე, აქტუალური მოვლენების სარკე... მისი რედაქციის კედლებში არაერთი დამსახურებული და თვალსაჩინო ჟურნალისტი იღვწოდა. ,,კოლხეთი“ დღესაც იმსახურებს მკითხველის სიყვარულს და ღირსეულად აგრძელებს ტრადიციებს. კიდევ ერთხელ გილოცავთ საუკუნოვან იუბილეს.

თითოეულ თქვენგანს მადლობას გიხდით გაწეული შრომისთვის. პროფესიულ წარმატებებსა და მკითხველთა სიმრავლეს გისურვებთ.

პატივისცემით,
ლევან კუპრეიშვილი

სანდო და დაბალანსებული გაზეთი

ვულოცავ გაზეთ «კოლხეთს» 100 წლის იუბილეს! ვფიქრობ, გუნდის წევრების თავდაუზოგავი შრომის საფუძველზე ნებისმიერი მკითხველისთვის იგი წლების განმავლობაში წარმოადგენდა სანდო და დაბალანსებული ინფორმაციის წყაროს. გისურვებთ მუდამ გეხელმძღვანელოთ ობიექტურობითა და მიუკერძოებლობით და არასოდეს მოგკლებოდეთ ერთგული მკითხველი!

მარიამ მალანია,
საფრანგეთის ქალაქ მონპელიეს უნივერსიტეტის მაგისტრატურის სტუდენტი

ჩვენი გაზეთის ყოფილი რედაქტორები

ანტონ მზახელეა

აჯაჯი ჯიღასონია

პანტელეიმონ გიგიბეჩია



იონა გვასალია

იღო ნიჩღვავა

დღესაც აქტუალური და მოწინავე

გაზეთმა, რომელიც დაარსების დღიდან ყველა ეტაპზე იყო აქტუალური, უდიდესი წვლილი შეიტანა მუნიციპალიტეტის განვითარებისა და კეთილდღეობის მიზნით საზოგადოების ინფორმირებაში, რითაც მკითხველის უდიდესი სიყვარული დაიმსახურა. გუნდის თავდაუზოგავი შრომითა და ძალისხმევით, იგი ჩამოყალიბდა რეგიონის ლიდერად.

თავად მე, როგორც სამსახურეობრივად, ასევე პირადად ბევრი რამ მაკავშირებს გაზეთ ,,კოლხეთთან''. განსაკუთრებით მსურს გავიხსენო ახალგაზრდობის წლები, როდესაც სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე ვწერდი მიმოხილვებს, ვაქვეყნებდი მნიშვნელოვან წერილებსა და სტატიებს. სწორედ აღნიშნული ეტაპიდან გახდა ჩემთვის გაზეთი ,,კოლხეთი'' მშობლიური, მან შემაყვარა და მასწავლა პრესასთან ურთიერთობა, რისთვისაც გამოვხატავ მადლიერებას. განსაკუთრებით მსურს გავიხსენო სარედაქციო და შემოქმედებითი ჯგუფის წევრები, აწ. გარდაცვლილნი: ვლადიმერ (ილო) წირღვავა, ბორის შენგელია, გალაქტიონ რობაქიძე, რეზო ჯანჯღავა, თამაზ კანკია, გოგოლა მზარელუა, სოლომონ კუჭავა, ლამარა გადელია, იონა გვასალია და სხვა კოლეგები, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს გაზეთ ,,კოლხეთი''-ის საუკუნოვანი ისტორიის ჩამოყალიბებასა და მის წარმატებაში.

ხელმძღვანელობასა და სარედაქციო კოლექტივთან ერთად, არ შემიძლია არ გავიხსენო სტამბის თანამშრომლები, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართული საგამომცემლო საქმიანობაში. მსურს გამოვყო სტამბის დირექტორი აწ. გარდაცვლილი ბატონი გურამ გიგიბერია. აქვე მსურს გულითადად მივულოცო გაზეთის იუბილე სტამბის ღვაწლმოსილ ქალბატონს, დიანა ბერაიას და ვუსურვო მას ჯანმრთელობა.

მნიშვნელოვანია და მისასალმებელია, რომ გაზეთი ,,კოლხეთი'' დღესაც აქტუალურია და მოწინავეა თავისი გამორჩეული ხელწერით რეგიონის სინამდვილეში. მას კვლავაც ღირსეულად ხელმძღვანელობენ ქალბატონები ნინო სართანია და მედეა ბაღათურია შემოქმედებით ჯგუფთან ერთად.

როგორც ერთ-ერთი რიგითი სენაკელი თავს ვალდებულად ვთვლი კვალავაც ხელი შევუწყო გაზეთის განვითარებას და წარმატებას.

გულწრფელი სიყვარულით კიდევ ერთხელ ვულოცავ გაზეთ ,,კოლხეთს'' 100 წლის იუბილეს. მის დიდ ოჯახს, სარედაქციო ჯგუფს, ჟურნალისტებს და ყველას ვინც მონაწილეობს საგამომცემლო პროცესში ვუსურვებ წარმატებებს, აქტუალურობას, ტრადიციების გაგრძელებას.

მრავალი წელი ღირსეულად გეტარებინოთ საუკეთესო გაზეთის სახელი!

უღრმესი პატივისცემითა
და სიყვარულით
გურამი მისაბიშვილი, აფხაზეთის
ავტონომიური რესპუბლიკის
იძულებით გადაადგილებულ პირთა
მინისტრის პირველი მოადგილე

გადარჩენა-განვითარებას მუდმივი ინოვაცია სჭირდება

დღეს ჩვენს ქვეყანაში მოქმედებს მედიასაშუალებათა მრავალფეროვანი სპექტრი. მასობრივი კომუნიკაციის ბეჭდვითი თუ ელექტრონული საშუალებებით, ინტერნეტით საზოგადოებას მიეწოდება რეგულარული ინფორმაცია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარე სიახლეებზე.

ამ ფონზე ნამდვლად არ არის ადვილი სიცოცხლისუნარიანობა შეინარჩუნოს რეგიონალურმა, ქალაქის, მუნიციპალიტეტის გაზეთებმა. ჩვენი მუნიციპალიტეტის ჟურნალისტების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ,,გაზეთ კოლხეთს" შეუნარჩუნეს სახე. 100 წლოვანი ისტორიით მხრებდამძიმებული დღესაც აგრძელებს საგამომცემლო საქმიანობას. 100 წელია ,,კოლხეთი" ვითარდება, იზრდება. ,,მრავალ დროების მოწამე" ახერხებს ფეხი აუწყოს თანამედროვე ჟურნალისტიკის მოთხოვნებს.

ყველას კარგად გვახსოვს საბჭოური წლები, როდესაც გაზეთი პარტიულ ჩარჩოებში მოქცეული იშვიათად წერდა(ან თითქმის არ წერდა) სოციალურ პრობლემაზე, ქვეყნის საგარეო კურსზე, საშინაო პოლიტიკაზე. თუმცა მის ფურცლებზე იბეჭდებოდა ვრცელი რეპორტაჟები, სამშენებლო, სამრეწველო, სასოფლო, საყოფაცხოვრებო დანიშნულების მშენებარე ობიექტებიდან, ჩაის პლანტაციებიდან. ასე ქმნიდა ,,კოლხეთი" სენაკის ისტორიას, ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს, ცნობილ ადამიანთა ცხოვრების და მოღვაწეობის ამსახველ დეტალებს, ისტორიულ პიროვნებებისა და ღირსსახსოვარი ძეგლების ფოტომატიანეს.

ასე ნაბიჯ-ნაბიჯ ინახავდა გაზეთი ქალაქის წარსულს, ქმნიდა მომავლის განვითარება-განახლების პერსპექტივას.

მართალია, წლებმა ბევრი რამ შეცვალა, ბევრი რამ დავიწყებას მისცა, მაგრამ მე, როგორც წინა თაობის მშენებელი ვთვლი, რომ წარსული ჩვენი ფესვებია, რომელზედაც უნდა აღმოცენდეს ახალი. ილია ამბობდა: ,,აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისაო".

როგორც თაობათა ცვლის მომსწრე, პატივისცემით ვიგონებ წინა თაობის ჟურნალისტებს: ბორის შენგელიას, რეზო ჯანჯღავას, გოგოლა მზარელუას, ლამარა გადელიას, თამაზ კანკიას,სოლომონ კუჭავას, ადამიანებს, რომლებიც გამოირჩეოდნენ ინტელექტით, ზნეობრივი ღირებულებებით, პროფესიონალიზმით, საქმისადმი პასუხისმგებლური მიდგომით.

გაზეთის ამჟამინდელ რედაქციას ვულოცავ ,,კოლხეთის" ასი წლის იუბილეს. ვუსურვებ შემოქმედებით წარმატებებს, ოჯახურ სიმშვიდეს, ფინანსურ სიძლიერეს, მეტ მკითხველს, ახალ იდეებს, რადგანაც გარემო ელვის სისწრაფით იცვლება და გადარჩენა- განვითარებისათვის, მუდმივი ინოვაციებია აუცილებელი.

ასევე ვულოცავ სრულიად სენაკს, ჩვენს ქალაქს, სადაც სჭირდებათ, იციან ბეჭდური მედიისა და ამ გაზეთის ფასი.

ძვირფასო „კოლხეთელებო“ მრავალჟამიერ თქვენი სიტყვა!

დემურ გადელია,
ს.ს. ,,არქეოპოლისი»-ს დამფუძნებელი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ორი მოწვევის პარლამენტის წევრი, ორგზის ღირსების ორდენის კავალერი, წმინდა ნიკოლოზის ორდენის მფლობელი, სამგზის ,,საქართველოს დამსახურებული მეგზევე» , სენაკისა და ზუგდიდის საპატიო მოქალაქე

შენი მრავალჟამიერი ,,კოლხეთო"!

ჩვენს ერს, ჩვენს საყვარელ ქალაქ სენაკს და გაზეთ «კოლხეთს" სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სახელით იცნობდნენ:

ქალაქ ცხაკაიას (საბჭოთა პერიოდში სენაკს შეუცვალეს სახელი და ნაცვლად თავის პირვანდელი სახელისა, რევოლუციონერი მიხა ცხაკაიას ხსოვნის საპატივცემლოდ უწოდეს მიხა-ცხაკაია).

სწორედ, ამ მიხა-ცხაკაიად წოდებულ ქალაქში 1923 წელს დაარსებულმა გაზეთმა ,,კომუნამ" გააგრძელა არსებობა სახელწოდებით ,,ავანგარდი". მოგვიანებით მას ,,კოლხეთის ცისკარი" დაერქვა, 1970-იან წლებში კი ,,კოლხეთი".

ქალაქი სენაკი ოდითგანვე ცნობილი იყო: ქართული ენის სიწმინდით, ხალხის მაღალი პროფესიული განათლებით, ზნეობით, ჩაცმა-დახურვის დახვეწილი მანერით და წიგნების კითხვით თითო მოსახლეზე გათვალისწინებით მაღალი პროცენტით.

სენაკში არ იყო ოჯახი, სადაც ჟურნალ-გაზეთები, ლიტერატურული და ტექნიკური ალმანახები არ იყო გამოწერილი. ანუ, თავად საზოგადოების კითხვითი მოთხოვნის მაღალი დონე და წიგნომანთა პრეტენზიული მანერა ადვილად დასაძლევი როდი იყო.

ამას ხაზს ვუსვამ, იმიტომ რომ წარმოგიდგინოთ ერთი სენაკელი ოჯახი, მაგალითად ყარამან და მარიამ ჯიქიათა ოჯახს გამოწერილი ჰქონდა ყველა სახის ჟურნალი და პრესა, როგორც ქართულენოვანი, ასევე რუსულენოვანიც. ოჯახში ყოველდღიურად ეცნობოდნენ პრესას და რა დონის უნდა ყოფილიყო გაზეთი «ავანგარდი", «კოლხეთის ცისკარი," ან თუნდაც გაზეთი «კოლხეთი", რომ გაეძლო რესპუბლიკური და საბჭოთა კავშირის დონეზე გამორჩეულ პრესის კონკურენციას?

რა დონის ორგანიზაცია? როგორი მმართველი სისტემა? რამდენად ძლიერი ჟურნალისტები?

როგორი ეროვნული ხედვისა და სტრატეგიული გეგმების სწორად განსაზღვრა-გაჯერება უნდა მოეხდინათ, რომ არც საბჭოთა ხაფანგში არ გახლართულიყვნენ და არც მათკენ მოპყრობილი ხალხის გულისყური და ღირსება შეელახათ?

საოცარია! დაუჯერებელია! წარმოუდგენელია!

ისმება კითხვა: როგორ შეძლეს? რა გზით მიაღწიეს? როგორ მოახერხეს? ...

ამ და მრავალ ამის მსგავს კითხვებზე პასუხის გაცემა ძნელია, ვინც არ იცნობდა მათ!!!

დიახ, მათ! ესენი იყვნენ: ვლადიმერ წირღვავა, მამანტი ქვარცხავა, ბორის მილიუტინი, მოკოდი აბშილავა, გალაქტიონ რობაქიძე, ბორის შენგელია, სოლომონ კუჭავა, რეზო ჯანჯღავა, მორდეხ გაგულაშვილი, ლამარა გადელია, გოგოლა მზარელუა, კარლო ტაბაღუა, შოთა ხარებავა, იოანე გვასალია, დიახ, მათ შეძლეს და გაიტანეს:

გაუძლეს რუსულ საბჭოთა კრიტიკას; სინდის შეუბღალავად ემსახურნენ სიმართლეს და ერს;

საუკუნეა თავმომწონედ, მაღალ პროფესიული შეგნებითა და ღირსებით ასრულებენ მისიას;

საოცარი განსჭვრეტისა და სტრატეგიული ნიჭის პატრონებმა მოთხოვნის დონეზე გაიარეს ციცაბო კლდეთა ქიმზე;

დიახ, დიახ მათ ეს შეძლეს, ერთდროულად ღირსებით ეტარებინათ ჟურნალისტის, მამულიშვილისა და ქალაქის ელიტის წოდება სინდის-ნამუსის წილხვედრაში და სამაგალითო ერისშვილობაში!

ძნელია, XXI საუკუნის გადმოსახედიდან რუსულ-ცარისტულ-საბჭოთა ცენზურის დაუნდობელი მანქანის წარმოდგენა, მაგრამ უფროს თაობას ახსოვს ქალაქებში მომრავლებული «პურის მანქანები," რომლებიც სინამდვილეში «სიმართლის მთქმელთ" ატუსაღებდნენ და უკეთეს შემთხვევაში გადასახლებაში, უარესში კი იმავე ღამეს დახვრეტით მთავრდებოდა.

სწორედ ამ რეჟიმის 76 წელიან სიკვდილ-სიცოცხლის მანქანასთან შეჭიდებულნი იცავდნენ ქართულ მეობას, ერისშვილობას და ჟურნალისტურ პირდაპირობას.

თვითეული მათგანი, თავის რედკოლეგიით, სტამბის თანამშრომლების ჩათვლით უნდა ჩაითვალოს, როგორც «ფრონტის წინა ხაზის ჯარისკაცად" და ყველაზე მცირე, «ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ" და ეს ორდენი მათ ოჯახებს გადაეცეს, რათა თაობიდან თაობამ იცოდეს რა შეუძლია ერთიან, პროფესიულად ძლიერ, პროვნულად ალალ-მართალ, მამულიშვილთა ერთობას!!!

მე, ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანი, პირადად ვიცნობდი რამოდენიმე მათგანს, მქონდა ბედნიერება მომესმინა მათთვის, მიმეღო მათი დარიგება, მეკისკისა მათ საოცარ იუმორზე, მაგრამ ამავდროულად, არასდროს ჰქონია ადგილი უპატივცემლობას თუ ზღვარგადასულ ხუმრობას. ეს იყო თაობა რაფინირებულ ინტელიგენტთა, რომელთანაც ურთიერთობით ივსებოდი, ინტელექტიალურად გაჯადოვებდათ მათი შესაძლებლობები: შეჯამებისა და დასკვნების კეთების მანერა, ყველაფრის ლოგიკური ანალიზი, მეგობრული და ამავდროულად მოწიწებითი-დისტანციური, ოფიციალური დამოკიდებულებები.

გაოცებდათ უფროს-უმცროსობის ინსტიტუტის არსებობა და ეს «არავის უშლიდა ნერვებს," პირიქით, ამ სწორი ფსიქოლოგიური მეთოდის მადლით, არ ირღვეოდა ურთიერთპატივისცემის სისტემა და ყველამ იცოდა თავის ფუნქცია და მოვალეობა. ალბათ, ესეც ერთ-ერთი ამ თაობისთვის დამახასიათებელი თვისება გახლდათ.

ალბათ, ამ დიდ ტრადიციებიდან გამომდინარე, მაღალი ხარისხისათვის საუკუნოვანმა ლტოლვამ შექმნა და გამოაწრთო ჟურნალისტთა პლეადები.

ამიტომაცაა, რომ დღემდე არსებობს ყველასთვის საყვარელი და მუდამ უბერებელი გაზეთი «კოლხეთი," თავის ახალი და ძლიერი კოლექტივის: ნინო სართანიასა და მედეა ბაღათურიას უშუალო ხელმძღვანელობითა და პროფესიონალთა საოცარი ჯგუფის, მაია გერგაიას, მარიკა მიქაბერიძესა და ჯულიეტა ჩაჩიბაიას ფასდაუდებელი ღვაწლით.

დღეს, გაზეთ «კოლხეთის" დაარსების 100 წლისთავთან დაკავშირებით მებადება კითხვა, თუ რას წარმოადგენს გაზეთ «კოლხეთი," ჩემთვის, რომელიც სენაკის ჭავჭქვაძის ქუჩის N103- ნომერში იდგამს ფეხს, მაშინ როდესაც მე, ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანისთვის, რომელიც 33-ე წელია ვცხოვრობ ლონდონში?

სწორედ ეს კითხვაა საინტერესო, ვინაიდან XXI საუკუნემ, თავის გლობალიზაციით წინ გადადგა უზარმაზარი ნაბიჯი და როგორც კი გაზეთ «კოლხეთის" დაკაბადონება დასრულდება, მისი კომპიუტერული ვერსია, ჩემს მაგიდაზე ლონდონში აღმოჩნდება...

აღმოჩნდება და მოაქვს ჩემთან ახალ ამბებთან ერთად მშობლიური სენაკის სურნელი, მისი მრწამსი, სენაკელთა ღირებულებანი, ამბავი მათი წარმატებებისა თუ გულისტკივილისა, ოჯახის წევრის გარდაცვალებისა, მსოფლიოს დონეზე სპორტსმენთა წარმატებებისა, ახალგაზრდა მოწაფეთა მსოფლიო მეცნიერულ ტურებში გამარჯვებებისა, სასოფლო-სამეურნეო პრობლემებისა და მოსავლიან-ბარაქიანი წლებისა, პოლიტიკური ხარვეზებისა თუ წარმატებული საქალაქო მმართველი სტრუქტურის გამარჯვებული პროექტებისა, მოგონებები ჩვენს მოქალაქეებზე და ქალაქის ისტორიებზე თუ ახლად შექმნილ-დანერგილ წამოწყებებზე...

და მაშინ ჩერდება ბრიტანული დრო, ჩემთვის... გადავდებ გადაუდებელ საქმეს და ვიძირები ჩემი ქალაქის ფესვებში: ვხარობ და ვლაღდები მისი წარმატება-ბედნიერებით, გული მიკვნესის მისი ტკივილისგან, მაგრამ ორივე შემთხვევაში ვარ მისი შვილი, მისი ნაწილი, მისი სენაკში დაბადებულ-გაზრდილ-გაფრენილი სხვა ქვეყნებში შვილი, რომელსაც შინ დაბრუნება შეაგვიანდა და ახლა ელოდება იმ გაზაფხულს, რომ გაშალოს ფრთები და იფრინოს მონატრებული და მოსიყვარულე სენაკის ჩასახუტებლად...

საქართველოში რომ დავბრუნდები, ამაში უდიდესი ღვაწლი დედაჩემს, ლიდა ჯიქიას, მამას, რაჟდენ კოკი ჯიქიას და ჩემს «კოლხეთს" უნდა ვუმადლოდე. როდესაც ვამბობ გაზეთ «კოლხეთს" განსაკუთრებული მადლობა მაია გერგაიას ეკუთვნის, რომელიც არასდროს მივიწყებს და ქორფა ამბებს მაწვდის რეგულარულად.

დიდება და შენი მრავალჟამიერი ჩვენო «კოლხეთო!"

გილოცავ დაბადებიდან 100 წლისთავს, რომელიც ბევრიცაა და ცოტაც, ვინაიდან შენ არ ბერდები, არამედ მწიფდები და ივსები ყოველივე საუკეთესოთი, რასაც ქართული ისტორიული მეხსიერება ჰქვია.

პატივისცემით
ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანი,
სენაკის საპატიო მოქალაქე, ევროპის, საქართველოსა და ბრიტანეთის განსაკუთრებული ღვაწლის კავალერი, ფაზისის აკადემიის წევრი, გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიის ფაზიდის აკადემიის ცენტრის ხელმძღვანელი, გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიის ქართული მართლმადიდებლური ეპარქიის ჯვარი პატიოსანის ორდენისა და წმინდა იოანე არიმათიელის ჯილდოს მფლობელი, ბრიტანეთის მოსწავლე-ახალგაზრდობის რჩეული პედაგოგის «ბრიტანეთის საუნჯე" ტიტულის მფლობელი, გაერთიანებული სამეფოს ორგზის ოქროსორდენოსანი საუკეთესო ხარისხის პირველი ქართული სკოლის დამფუძნებელი და დირექტორი, საერთაშორისო დონეზე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მიმართულების კოორდინატორი, ლონდონის საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის იდეის ავტორი,-კოლხური კულტურის საერთაშორისო ასოციაცია „აიელის“ პრეზიდენტი:

რეგიონის ჟურნალისტები ბევრად უკეთ იცავენ ეთიკის ნორმებს

ამ დღეებში შევხვდით ჩვენი მუნიციპალიტეტის ღირსეულ შვილს-სენაკის, ფოთის, თბილისის, ინდიანას შტატის ქალაქ მანსის საპატიო მოქალაქეს, საქართველოს დამსახურებულ მოღვაწეს, არქიტექტორს, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსს, მრავალი ეროვნული და საერთაშორისო ჯილდოს მფლობელს(რომელთა ჩამოთვლა ერთ საგაზეთო სტატიაში შეუძლებელია), ესეისტს, პუბლიცისტს ბატონ ვახტანგ დავითაიას თბილისში, რამიშვილის ქუჩაზე განთავსებულ სახელოსნოში.

სამუშაო სივრცის ყოველ კუთხე-კუნჭულიდან უნიკალური ნიმუშები ,,იმზირებიან". ხელოვნების ნიმუშების გარდა მისი პირადი არქივი უამრავ საინტერესო მასალას იტევს.

მისი ავტორობით გამოცემულ წიგნებს, სტატიებს, ქართულ და უცხოურ პროფესიულ გამოცემებში ხელოვანისადმი მიძღვნილ კორესპონდენციებს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობის ამსახველ დღიურებს, რეცენზიებს განხორციელებულ პროექტებზე გამორჩეულად მნიშვნელოვნად შეიძლება დასახელდეს, მაგთიკომის ქართულ-ინგლისური მონოგრაფიალბომი ,,ვახტანგ დავითაია, არქიტექტურა, ფერწერა, გრაფიკა", მ. დავითაიას წიგნი ,,ბრწყინვალე ბუნება. ბრწყინვალე ხალხი, ბრწყინვალე არქიტექტურა".

ჩვენი საუბარი ძირითადად ბეჭდური მედიის პრობლემებს შეეხო.

ბატონი ვახტანგი ულოცავს სენაკელებს ,,კოლხეთის" 100 წლის იუბილეს და რეგიონალური მედიის საჭირბოროტო საკითხებზე საუბრობს.

ბატონო ვახტანგ, მოგეხსენებათ სახელმწიფოში ახალ მედიასაშუალებათა ზრდის ფონზე, ბევრმა რეგიონალურმა და რაიონულმა გამოცემამ შეწყვიტა არსებობა, ამ დროს სენაკის მუნიციპალიტეტის გაზეთმა ,,კოლხეთმა" საუკუნის ქარტეხილებს გაუძლო, მას დაარსებიდან 100 წელი შეუსრულდა, თქვენ როგორც სენაკელი, ამასთან სენაკის საპატიო მოქალაქე როგორ შეაფასებდით ამ ფაქტს?

უპირველესად ვულოცავ ჩემი მშობლიური ქალაქის მოსახლეობას გაზეთის 100 წლის იუბილეს. ის გარემოება, რომ გაზეთი დღესაც ფუნქციონირებს და ემსახურება საზოგადოებრივი აზრის სწორად წარმართვას, თვალნათლივ მიუთითებს აქ დასაქმებული ჟურნალისტების თავდადებასა და მაღალ პროფესიონალიზმზე.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია ადგილზე არ არის პოლიგრაფიული ბაზა და გაზეთის მუშაკებს მუდმივად უწევს მეზობელ რაიონებსა და ქალაქში სიარული. ცხადია ეს ქმნის დიდ ტექნიკურ სირთულეს და საჭიროებს დამატებით ფინანსებს.

მიუხედავად სიძნელეებისა, ჩანს გაზეთი მედგრად ინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას, ეს კი მიუთითებს საზოგადოების მხრივ გაზეთის რედკოლეგიისადმი გამოვლენილ ნდობის მაღალ კოეფიციენტზე. აქვე იკვეთება ადგილობრივი ხელისუფლების დაინტერესება. მე ვიცნობ მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა მერს ვახტანგ გადელიას, კონტაქტები მქონდა წინამორბედებთანაც. აქედან გამომდინარე ვთვლი, რომ სენაკში ხელისუფლების პირველი პირები სწორად აფასებენ იმ როლს, რაც რეგიონალურ მედიასაშუალებას აკისრია მოსახლეობის პრობლემების გაცნობისა და სოციუმთან დაახლოების მნიშვნელოვან საქმეში.

ბატონო ვახტანგ, ხომ ვერ გიხსენებთ გაზეთის ყოფილ და ამჟამინდელ რედაქციებთან ურთიერთობის დეტალებს.

მინდა გითხრათ, რომ სკოლის და უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დედაქალაქში ვცხოვრობ და ვმოღვაწეობ, მაგრამ ჩემს მშობლიურ რაიონთან, იქ მოღვაწე ადამიანებთან კავშირი არასოდეს გამიწყვეტია. გაზეთ ,,კოლხეთთან" აქტიურად თანამშრომლობდა ჩემი და ნილა დავითაია. თქვენი გაზეთის ფურცლებზე ბეჭდავდა იგი ლექსებს, ჩანახატებს, პიესებს. ლიტერატურულ-მხატვრულ კომპოზიციების შექმნის ნამდვილი დიდოსტატი იყო, აქტიურად იყო ჩართული ჟურნალისტურ საქმიანობაში პენსიაზე გასვლის შემდეგაც, მანამ, სანამ ჯანმრთელობის მძიმე პრობლემები არ შეექმნა. ჩემი ნათესავი და უმცროსი მეგობარი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, მწერალი, ჟურნალისტი, მრავალი ათეული წიგნის ავტორი ბორის დავითაია თქვენს გაზეთში, ასევე რესპუბლიკურ პრესაში ძალიან საინტერესო კორესპონდენციებს, ისტორიულ მონოგრაფიებს აქვეყნებს. ჩვენ ხშირად ვეხმიანებით ერთმანეთს, მისგან ვიგებ სიახლეებს სენაკის კულტურულ ცხოვრებაზე, სენაკელების მიღწევებსა და პრობლემებზე.

,,კოლხეთის" ამჟამინდელ შემოქმედებით ჯგუფს არ ვიცნობ, მაგრამ მჯერა ამ ინტერვიუს შემდეგ ჩვენი ურთიერთობა ახალ დატვირთვას შეიძენს.

უდიდესი პატივისცემით მინდა მოვიგონო თქვენი წინამორბედები ბატონები ბორის შენგელია, რეზო ჯანჯღავა, ქალბატონები გოგოლა მზარელუა, ელენე ადამია.

ცალკე მინდა ვისაუბრო ქართული ხელოვნების და ჟურნალისტიკის სფეროს უდიდეს ქომაგზე, ბატონ ვახტანგ ესვანჯიაზე. ბატონი ვახტანგის რაიკომის პირველ მდივნად მუშაობის წლებში სისტემატურად ვღებულობდი ,,კოლხეთის" ყოველ ნომერს.

ბატონი ვახტანგი იყო სენაკში სახვითი ხელოვნების გალერეის გახსნის ინიციატორი. 1979 წელს აგებული გალერეის შენობა არის ერთერთი მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლი, კარგია რომ რეაბილიტაცია გაუკეთდა შენობას, გარე ფასადს და სადემონსტრაციო დარბაზებს. აქვე მინდა მოვიყვანო ჩემი გამონათქვამი ,,დიდ არქიტექტურას გონიერი დამკვეთები ქმნიან". ვახტანგ ესვანჯია ნამდვილად გახლდათ გონიერი დამკვეთი, სენაკის დიდი გულშემატკივარი და მოჭირნახულე.

რაც შეეხება მემორიალს ,,ხსოვნის კუბი", იგი მიეძღვნა ომში დაღუპული სენაკელების ხსოვნას. შიდა სივრცე სავსეა გაწამებული, დეფორმირებული, გაქვავებული ადამიანების-ქალების, ბავშვების ქანდაკებებით, აქ ნამდვილი ჯოჯოხეთია, ომის ჯოჯოხეთი, კუბის მოწოდებაა არ განმეორდეს ომის საშინელება. მოქანდაკე ვაჟა მელიქიშვილმა შესანიშნავად შეასრულა არქიტექტორის ჩანაფიქრი.

მინდა ვთქვა, რომ სენაკელებმა თავიდან მაინცდამაინც დიდი ენთუზიაზმით ვერ მიიღეს ,,ხსოვნის კუბი", მაგრამ მსოფლიომ მიიღო იგი.



მემორიალს სჭირდება შიდა სარემონტო სამუშაოები, გარეცხვა, განათება, რაზედაც საქმის კურსში არიან დღევანდელი ხელისუფლების პირველი პირები.

მართალია შესრულდა გარე სამუშაოები, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. როცა მოწესრიგდება ყოველივე, კუბი მიიღებს ,,უძრავი ძეგლის" სტატუსს. დიდია მემორიალის მნიშვნელობა, ის გამოხატავს ზოგადსაკაცობრო ტრაგედიას. ,,ხსოვნის კუბს" გამოფენა ,,ინტერარქ - 87 -ზე ლაურეატის წოდება მიენიჭა.

მე ძალიან მიყვარს ჩემი სენაკი და მინდა რაც შეიძლება ლამაზი და დახვეწილი იერ-სახის მქონე ქალაქი იყოს. ჩემი ნამუშევარი გახლავთ ქართველი მწერლის ჭაბუა ამირეჯიბის მემორიალური დაფები, რომელიც 4 წლის წინ ჩავიტანე სენაკში. აქვე მინდა დავძინო ,,მონუმენტები, მემორიალები, პასუხისმგებელნი არიან არა მხოლოდ გარემოს, არამედ ხალხის და ქვეყნის წინაშე. ისინი შემოდიან სივრცეში, რომელიც ხალხს და ქვეყანას ეკუთვნის. ისინი ცვლიან გარემოს, ქალაქის პეიზაჟს, ახალ შინაარსსა და ხასიათს ანიჭებენ გარემოს. ურბანულ სივრცეში შემოსვლა უდიდესი გამოცდაა, ითხოვს მოწიწებას და სიფრთხილეს", ამიტომაც ჩემი შემოქმედებითი საქმიანობის მაძილზე მონუმენტების შექმნისას, მუდამ ვეყრდნობოდი „არქიტექტურულ ლოგიკას".

ბატონო ვახტანგ, ეთანხმებით თუ არა შეფასებას, რომ დღეს რეგიონალური პრესა უფრო უკეთესად იცავს მოვლენების ეთიკურად გაშუქების სტანდარტს, ვიდრე ცენტრალური მედიასაშუალებები.

დიახ, პერიფერიებში, რაიონებში, პატარა ქალაქებსა და დაბებში შენარჩუნებულია თავაზიანობა და ურთიერთპატივისცემა. არც სუბიექტური მიზეზებით ხდება ერთმანეთის გინება. ობიექტური ფაქტორების გამოვლენის შემთხვევაშიც რეგიონალური მედია მეტ თავაზიანობას იჩენს. რეგიონის ჟურნალისტები ჩემი აზრით, უფრთხილდებიან პროფესიულ ,,რეპუტაციის" შელახვას. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი სიმართლეზე თვალს ხუჭავენ, ან არ შეუძლიათ საინტერესო, ექსკლუზიური თემების მოძიება და მოსახლეობამდე მიტანა.

მე ასე ვიტყოდი, რაიონის, ქალაქის გაზეთში უფრო მეტად ეთმობა ტრიბუნა უბრალო ადამიანებს, ვიდრე ცენტრალურში, რეგიონის ჟურნალისტები ბევრად უკეთ იცავენ ეთიკურ ნორმებს, ვიდრე ცენტრალურ მედიებში დასაქმებული მუშაკები.

რას უსურვებთ და ურჩევთ გაზეთ ,,კოლხეთის" რედკოლეგიას?

გისურვებთ დაფინანსების წყაროს გაზრდას, რადგანაც მწირი ფინანსით ვერ ხერხდება სრულფასოვანი საქმიანობა და ხარისხიანი გაზეთის გამოშვება. მცირერიცხოვანი გუნდითაც ცხადია ძნელია მაღალხარისხიანი მედიაპროდუქტის მომზადება. გაიზრდება მედია შემოსავალი-გაიზრდება მკითხველი.

კიდევ ერთხელ ვულოცავ თქვენს გუნდს 100 წლის იუბილეს, ვულოცავ სრულიად სენაკს, გისურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს, მეტ ფულს, ბევრ მკითხველს და ბევრ რესპონდენტს.

***P.S.** რედაქციის სახელით გვინდა მადლობა გადავუხადოთ ბატონ ვახტანგ დავითაიას გულთბილი მიღებისა და კეთილი სურვილებისათვის. ასაკის მიუხედავად ჩვეული ენერგიით ფუსფუსებს თავის სახელოსნოში ,,კოლხეთის დედის", ,,დაჭრილი არწივის", ,,გამარჯვების მონუმენტის", ,,მეზღვაურის მემორიალის", „ხსოვნის ტაძარის", „ალგეთის ბაზილიკის" და სხვათა ავტორი. დიდხანს სიცოცხლე, ხალისიანი დღეები, კვლავაც ნაყოფიერი მოღვაწეობა დიდებულ სენაკელს.*

მოამზადა
მედეა ბაღათურია

თავისუფალი სიტყვის ძალა

თანამედროვე სამყაროში თავისუფალ სიტყვას ძალიან დიდი ძალა აქვს. ჩვენს რეალობაში კი არსებობენ ადამიანები, რომელთა ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია საზოგადოების თითოეულ წევრამდე თავისუფალი სიტყვის მიტანა. გაზეთი იყო პირველი პლატფორმა, რომელმაც ჯერ კიდევ XVI საუკუნეში გაარღვია იმდროინდელ მოსახლეობაში შექმნილი ინფორმაციული ვაკუუმი.

მე როგორც რიგითი სენაკელი, ამჟამად ბედნიერი ვარ იმით, რომ ჩემს პატარა, კოხტა და კოპწია ქალაქში დღემდე ფუნქციონირებს რეგიონში უხუცესი გაზეთი – „კოლხეთი". მინდა „კოლხეთელებს" მივულოცო 100 წლის იუბილე, რიგი მიზეზების გამო მათთან წლებია მაქვს ადამიანური სიახლოვე. მათთან ურთიერთობისას მუდმივად იგრძნობა საქმისადმი სიყვარული, ენთუზიაზმი და პროფესიონალიზმი. მინდა წარმატებები გისურვოთ შემდგომ საქმიანობაში, კიდევ მრავალი წელი ყოფილიყავით თავისუფალი სიტყვის მედროშეები.

ცოტნე ეჯიბია,
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი

მუდამ ავანგარდში

ასი წლის გახდა გაზეთი ,,კოლხეთი". 1923 წლის 1 მაისიდან დღემდე ფუნქციონირებს და ღირსეული ადგილი უჭირავს სენაკელების ცხოვრებაში და არამარტო სენაკელების...

გაზეთ ,,კოლხეთში» არაერთი ნიჭიერი და კეთილსინდისიერი ჟურნალისტი თუ პუბლიცისტი მუშაობდა, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს გაზეთის განვითარებაში და სენაკელების ყოველდღიურ ცროვრებაში დასამკვიდრებლად. .მის წიაღში ბევრმა ღირსეულმა და ნიჭიერმა ადამიანმა აიდგა ფეხი.

მე მახსოვს გაზეთ ,,კოლხეთში" მოღვაწე ბრწყინვალე ადამიანები, ბატონები: ილო წირღვავა, გალაქტიონ რობაქიძე, ბორის შენგელია,რეზო ჯანჯღავა, თამაზ კანკია, გოგოლა მზარელუა და სხვები, რომელთა მეცადინეობით და საქმისადმი სიყვარულით ბევრი ქარტეხილი გამოიარა გაზეთმა, მაგრამ ის მუდამ ავანგარდში იდგა..

მე მინდა გაზეთ „კოლხეთს" და მის მთელ კოლექტივს მივულოცო საიუბილეო თარიღი, ვუსურვო მათ ღირსეულად განეგრძოთ ესოდენ მნიშვნელოვანი საქმე და თავისი წვლილი შეეტანოთ სენაკის კულტურულ თუ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

პატივისცემით
ბადიშ ხურსილი
(ბადრი ხურცილავა), პოეტი

გრძელი, ძნელი და მძიმე გზა

სენაკის მუნიციპალიტეტის ისტორიული ბედი მჭიდროდაა დაკავშირებული გაზეთ ,,კოლხეთთან", რომელსაც დაარსების 100 წელი შეუსრულდა. გრძელი, ძნელი და მძიმე გზა გაიარა გაზეთმა, რომლის საუკუნოვანი საქმიანობა ბოროტზე კეთილის, ურწმუნოებაზე რწმენის, უსამშობლობაზე სამშობლოს გამარჯვების გამორჩეული მაგალითი იყო და იქნება თაობებისათვის.

გაზეთის რედაქცია, თანამშრომელთა დიდი პროფესიონალიზმით, გულმოდგინებითა და სიყვარულით გამორჩეული, 100 წლის განმავლობაში მოუთხრობდა მკითხველს სენაკსა და სენაკელებთან დაკავშირებულ წარმატებებსა თუ ხარვეზებზე, მათი აღმოფხვრის გზებზე და მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ჩვენი ხალხის კეთილდღეობის საქმეში.

ბედნიერი ვარ, რომ მხვდა პატივი, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ახლო ურთიერთობა მქონოდა გაზეთის რედაქციასთან, მის შესანიშნავ რედაქტორებსა თუ თანაშრომლებთან, რომლებიც დიდი რუდუნებით, რწმენითა და სიყვარულით ემსახურებოდნენ სამშობლოს. ბედნიერი ვარ იმითაც, რომ გაზეთის რედაქციასთან ჩემი მეგობრობა დღემდე გრძელდება. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და 100 წლის ,,კოლხეთს", მის ამჟამინდელ მესვეურებსა და თანამშრომლებს გულითადად მივულოცო გაზეთის საუკუნოვანი იუბილე.

გისურვებთ ძალის სიმტკიცეს, ღვთის შეწევნას და წარმატებას პირად თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში, ყველა კეთილ საქმესა და წამოწყებაში ჩვეული გულმხურვალებით გეღვაწოთ ახლანდელი და მომავალი თაობების წინაშე სენაკისა და სენაკელების საკეთილდღეოდ.

სიყვარულით
ანზორ ცაგურია,
სენაკის საპატიო მოქალაქე

გაზეთი – ინტელექტუალური აზროვნების ნაყოფი

რიგით პარტიულ სამუშაოზე ვიყავი, როცა სრულიად ახალგაზრდა რაიონული გაზეთის რედაქტორად გამამწესეს. ჩემთვის სრულიად უცხო სფერო იყო, რადგან მაშინ არც ჟურნალისტი ვიყავი და არც გაზეთში ნამუშევარი. გამოიკვეთა, ახალი ასპარეზი, ახალი შინაარსითა და თავისებურებებით, ჩემთვის მანამადე უცნობი სპეციფიკით.

კაცმა რაც არ იცის, ის ყოველთვის ძნელია! ასე იყო ჩემთვისაც. ამ შემთხვევაში სამეგრელოში კოლეგებს შორის (ისაკ ქორთუა, ბორის შენგელია, შოთა ფიფია, ტიტე შელია, აკაკი ტიკარაძე, აკაკი შენგელია, ლუდმილა მოწერელია)ასაკით ყველაზე ახალგაზრდა ვიყავი. საერთოდ საქმის დაწყება შედარებით რთულია, მაგრამ მონდომება, სიბეჯითე და ოპტიმისტური განწყობა მაინც გადამწყვეტია და პოზიტიურმა შედეგმაც მალე იჩინა თავი. ამაში კი მნიშვნელოვნად, როგორც ადგილობრივი, მეზობელი რაიონების და მათ შორის ყველაზე მეტად ახლო, სენაკის (მაშინდელი ცხაკაიას) გაზეთის (მაშინდელი რედაქტორი ბორის შენგელია, პასუხისმგებელი მდივანი ილო წირღვავა) მუშაკების გამოცდილებას დავეყრდენი, მათგან ბევრი რამ სასიკეთოდ ავითვისე და გამოვიყენე.

გაზეთი ხომ ერთი და ან ორი კაცის გემოვნებითა და სურვილებით გამოშვებული გამოცემა არაა, არამედ მთელი სარედაქციო კოლექტივის და შტატგარეშე აქტივის ინტელექტუალური აზროვნებისა და შრომის ნაყოფია. აქ კი მთავარი მათთვის სწორი და საჭირო მიმართულების მიცემაა.

გაზეთის გამოშვების ხარისხი და დროულობა დიდადაა დამოკიდებული სტამბის გამართულ მუშაობაზე, ამ მხრივ სენაკელები ჩვენზე გაცილებით გამართულები და საიმედონი იყვნენ. აქედან გამომდინარე, უამრავჯერ მიგვიმართავს მათთვის დახმარებისათვის, რაც ყოველთვის უანგაროდ, დაუყვედრებლად მიგვიღია. აბა, ვისთვის უნდა მიგვემართა, თუ არა უახლოესი მეზობლებისათვის და მეგობრებისათვის, რაც დღემდე სასიამოვნოდ მახსენდება.

გაზეთში მუშაობამ სხვა სიკეთეებთან ერთად, უკეთ გამაცნო ჩვენი და მეზობელი რაიონების იმდროინდელი თაობის ღირსეული წარმომადგენლები, ყველა დარგის მოწინავენი, შევიძინე ახალი მეგობრები, თანამოკალმენი და სრულიად ახლომდგომი ადამიანები, რომლებთანაც ურთიერთობით მიღებულ დადებით მუხტს და ემოციებს დღემდე სათუთად ვინახავ და მოფერებით ვატარებ.

ყველა პროფესიას თავის აზარტი აქვს, დაინტერესება და გატაცება იცის, თუ გიყვარს და პატივს სცემ მას. ჩვენს დროს დღევანდელობისაგან განსხვავებით, ბეჭდური სიტყვა განსაკუთრებული ყურადღებით გახლდათ გარემოსილი და ის გადაქცეული იყო იმ მაგიურ ძალად, რომელიც წარმატებით ეხმარებოდა სისტემას მთავარი მიზნების განხორციელებაში. ჟურნალისტი გახლდათ ერთგვარი ქურუმი, სამართლიანობის ნების გამომხატველი და მისი სიტყვა, თუ გაზეთში დაიბეჭდებოდა თითქმის სასამართლოს განაჩენსაც უტოლდებოდა. ჟურნალისტი თავის ჩანაწერებში, რა თქმა უნდა მართალი უნდა იყოს, მაგრამ სიმართლის თქმასაც თავისი ფორმა და მიზანი უნდა გააჩნდეს, რომ წამოყვედრებად, გაკილვად და დაცინვად არ გამოგვივიდეს.

გულწრფელად ვულოცავ სენაკის რაიონულ გაზეთს ღირსეულ იუბილეს და წარმატებებს ვუსურვებ მის დღევანდელ კოლექტივს და მკითხველ ფართო საზოგადოებას!

რაულ ჯახია,
პოლიტოლოგი, ხობის რაიონული გაზეთის რედაქტორი 1970-75 წლებში

ჩვენო საყვარელო ქალაქო, „კოლხეთელებო"!

ისრაელის წმინდა მიწიდან გულითადად ვულოცავ ჩვენი კოპნია, სათაყვანო ქალაქის უამთააღმწერლის, გაზეთ ,,კოლხეთის", მაგრამ ჭიანჭველასავით შრომისმოყვარე კოლექტივს სახელოვან იუბილეს-დაარსებიდან ასი წლისთავს.

ასი წელი მარადისობისთვის იქნებ ძალიან ცოტაა, მაგრამ ჩვენი პატარა ქალაქის რამდენიმე თაობისთვის მთელი ეპოქაა... ეპოქა, რომელმაც დაიტია საქართველოს გასაბჭოებიდან დღემდე გავლილი გზის ყველა აღმართ-დაღმართი, ტკივილი და სიხარული, მარცხი და წარმატება... ეპოქა, რომლის მაჯისცემამაც ჯეროვანი ასახვა პოვა გაზეთ ,,კოლხეთის" ფურცლებზე.

ათწლეულების მანძილზე გაზეთი ,,კოლხეთი" სენაკის ყველა ოჯახში სასურველი სტუმარი იყო. ნომრიდან ნომრამდე იგი აცნობდა თავის მკითხველებს ქვეყნისა და ქალაქის ახალ ამბებს, ნიჭიერი, შრომისმოყვარე სენაკის მკვიდრთა წარმატებებსა და პრობლემებს, კულტურის და სპორტის სიახლეებს, ყველაფერს, რაც აღელვებდა, აფიქრებდა ან ახარებდა მკითხველს, რაც უკეთესი მომავლის იმედს უღვივებდა მათ, მოუთხრობდა ყველაფერზე, რამაც შექმნა მთელი ეპოქა, რამაც მოიტანა ჩვენი საყვარელი ქალაქისა და გაზეთის დღევანდელი დღე...

და აი, ამ დღეებში გაზეთი ,,კოლხეთი" დაარსებიდან ასი წლისთავს აღნიშნავს. იგი სენაკელთა, ქალაქის მესვეურთა და მოწვეულ სტუმრებთან ერთად კიდევ ერთხელ მოეფერება თავის ერთგულ მკითხველს, მოუყვება განვლილი ,,დიდებული საუკუნის" ქარტეხილებზე, ავსა და კარგზე... მერე კი მუხლს გამართავს და განაგრძობს სვლას მეორე ასწლეულის დასალაშქრად, როგორც ადრე, ყოველ დილით სიხარულსა და ცინცხალ ამბებს შეიტანს ყველა მკითხველის ოჯახში. კვლავაც შემართებით განაგრძობს სვლას თავისი ერთგული მკითხველის გულებისაკენ..

კიდევ ერთხელ უდიდესი სიყვარულითა და ულრმესი პატივისცემით ვულოცავთ გაზეთ ,,კოლხეთის" ნიჭიერ კოლექტივს, ჩვენს კოპნია ქალაქს და მის ყოველ მკვიდრს ამ დიდებულ თარიღს და ვუსურვებთ, რომ ეს პატარა, მაგრამ ბევრის დამტევი გაზეთი მუდამ წარმატების, გამარჯვებებისა და სასიხარულო ამბების მაცნე ყოფილიყოს .მრავალჟამიერ!

მირა წიწუაშვილი, ჟურნალისტი,
სულო სეფიაშვილი,ჟურნალისტი,
გაზეთის ,,ალია საქართველოდან" რედაქტორი,
ორენოვანი ჟურნალების ,,აშდოდის მოამბისა" და ,,აშდოდელების " მთავარი რედაქტორი

ეპოქის სარკე და სახე

გულმხურვალედ ვულოცავ გაზეთ «კოლხეთს» დაარსებიდან 100 წლის იუბილეს. საუკუნოვანი გზა ურთულესი დროის დიდი მატიანის შემკრებისთვის, უმნიშვნელოვანესი მოვლენაა.

როდესაც ასწლეულს წვდები მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობ - საერთოდ არ აქვს მნიშვნელობა, რა ფორმაციაში უწევს გაზეთს გამოსვლა, მთავარი მაინც იმ დროის სულის ასახვაა. «კოლხეთი» უპირველესად ეპოქის სარკე და სახეა, ჩვენი ქალაქის ნამდვილი მემატიანე. სწორედ ამ გაზეთის ფურცლებმა შემოგვინახა ქალაქის ყოველდღიური მაჯისცემა, ეკონომიკის, კულტურისა და განათლების სიახლეები, უამრავი ისტორიული კადრი და ამბავი.

ამ ყველაფრის საფუძველია გაზეთის სათავეებთან მდგომი და შემდგომ ათწლეულების მანძილზე მოღვაწე ადამიანების უდიდესი ძალისხმევა. ჟურნალისტთა ნიჭიერი თაობების წარმატებული საქმიანობით «კოლხეთმა» მოიპოვა ხალხის სიყვარული და გახდა მათი სიხარულის თუ ტკივილის გამზიარებელი. შემთხვევითი არ იყო, რომ ყველა სენაკელის ოჯახში მოუთმენლად ელოდნენ «კოლხეთის" ახალი ნომრის გამოსვლას, როგორც საზოგადოებრივ მაჯისცემაზე მუდამ ერთგულად მიყურადებულ სიახლეების მაცნეს.

საამაყოა, რომ გაზეთის პროფესიონალი ჟურნალისტები დღესაც აგრძელებენ ტრადიციას და დიდი სიყვარულით აშუქებენ სენაკის ცხოვრებას.

ჩემი «კოლხეთისადმი» სიყვარული განსაკუთრებულია, რადგან ჯერ კიდევ სკოლის ასაკში გამოვაქვეყნე მის ფურცლებზე პირველი ლექსი. დღესაც მომყვება იმ საოცარი სიხარულის განცდა. მას მოჰყვა პროფესიული სამედიცინო საქმიანობით მადლიერი პაციენტების წერილებით გამოხატული სიყვარული. ჩემს ბიბლიოთეკაში დრომ შემოინახა «კოლხეთის» არაერთი ნომერი, რომელთა გაყვითლებული ფურცლები შემოდგომის ფოთლებივით მახსენებენ ლამაზი დღეების მოგონებებს წარსულიდან.

ვულოცავ გაზეთ «კოლხეთის» რედაქციას და ყველა სენაკელს ამ შესანიშნავ თარიღს, ვუსურვებ წარმატებულ მოღვაწეობას და ერთგულ მკითხველთა სიმრავლეს!

თქვენ წერდით და კიდევ არაერთხელ დაწერთ ჩვენი ულამაზესი ქალაქის პირუთვნელ ისტორიას!

თენგიზ ვერულავა,
მედიცინის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, მელბურნის ლატრობეს უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალის «ჯანდაცვის პოლიტიკის, ეკონომიკის და სოციოლოგიის» მთავარი რედაქტორი

100 წლის, მაგრამ მარად ახალგაზრდა იუბილარი

გასული საუკუნის 70-იან წლებში, როგორც ჟურნალისტმა, სენაკის რაიონულ გაზეთ «კოლხეთში» ავიდგი ფეხი, ამიტომ ჩემთვის ორმაგად ძვირფასია ეს გაზეთი და მისი რედაქცია, რომელიც მუდამ ხალხის სამსახურში დგას.

ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა, მაგრამ გუშინდელივით მახსოვს პირველი ლექსისა თუ პუბლიცისტური წერილის დაბეჭდვით გამოწვეული სიხარული. სათუთად ვინახავ ჩემი პირველი ჟურნალისტური ნაბიჯების ამსახველ გაზეთის ფურცლებს. ყოველთვის მემახსოვრება «კოლხეთის» მაშინდელი რედაქტორების - ბორის შენგელიას და რევაზ ჯანჯღავას, რედაქტორის მოადგილე გალაქტიონ რობაქიძის, პასუხისმგებელი მდივნის - ილო წირღვავას, გაზეთის თანამშრომლების - სოლომონ კუჭავას, გოგოლა მზარელუას, ექვთიმე გუგუნავას და სხვათა გულთბილი დამოკიდებულება. ან იმის დავიწყება როგორ შემიძლია, გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში, როცა სამხედრო სამსახურს გავდიოდი, გამამხნევებელ წერილებსა და გაზეთის ახალ-ახალ ნომრებს რომ მიგზავნიდნენ უკრაინაში. ეს ჩემთვის უდიდესი მხარდაჭერა და ბედნიერება იყო. ორმხრივი ურთიერთობის ტრადიცია დღესაც გრძელდება.

ამაყი ვარ იმით, რომ საუკუნის თანატოლი ჩვენი გაზეთი, როგორც უწინ, ახლაც ჭაბუკური შემართებით ემსახურება სიმართლეს; ჭირსა და ლხინშიც ხალხის გვერდით დგას. ამიტომაც ინარჩუნებს მკითხველთა შეუნელებელ სიყვარულს - მოუთმენლად ელიან მის ახალ ნომრებს.

რეგიონულ პრესას, როგორც სამამულო ჟურნალისტიკის ფენომენს, საყურადღებო პუბლიკაციებით ყოველთვის ეკავა ამ სფეროს ისტორიაში საპატიო ადგილი, რადგან მუნიციპალური გაზეთი ყველაზე მეტად გრძნობს მოსახლეობის მაჯისცემას. ამის ნათელი მაგალითია ჩვენი იუბილარი, რომელიც 100 წლის განმავლობაში პროპაგანდისტულ საქმიანობასთან ერთად ადგილობრივ მკითხველს მუნიციპალიტეტის ყოველდღიური ცხოვრების ამბებს აცნობდა და აცნობს - «კოლხეთი» სენაკის (და არა მარტო) ისტორიული მეხსიერების ბარათია.

მიხარია გაზეთის დღევანდელი წარმატებები, რაც წინა თაობების ტრადიციების ღირსეული გამგრძელებლების - ამჟამინდელი უაღრესად ნიჭიერი შემოქმედი ადამიანების დამსახურებაა, რომლებიც რუდუნებით აკეთებენ ეროვნულ საქმეს - მშობლიურ კუთხეს, სენაკის მუნიციპალიტეტს, მატიანეს უქმნიან!

საუკუნოვან იუბილეს გილოცავთ, ძვირფასო კოლხეთელებო! შემოქმედებით წარმატებებს გისურვებთ აწ და მარადის!

პატივისცემით და სიყვარულით
ვაჟა დანელია,
სენაკის საპატიო მოქალაქე, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, სპორტის დამსახურებული მოღვაწე

მარჯვნიდან მარცხნივ: სოლომონ ჯუჭავა, მოჯოდი აბშილავა, აღეჯო შენგელია, ჰეზო ხოფეჰია, ბაძე ქავთარაძე, ილო წირღვავა, ლონგი ნანეიშვილი, ღეჰი თათარიშვილი

ნატერფალი

საიუბილეო ნომრის თემად შეგნებულად შევარჩიეთ ძველი სენაკი – მისი აწმყო და წარსული. ამ მართლაც უნიკალურ, საამაყო ისტორიას გაზეთი როდის უნდა მიუბრუნდეს თუ არა საიუბილეო დღეებში. მით უფრო, თუ ორივე სუბიექტი (გაზეთიც და ძვ. სენაკიც) საუკუნის იქეთა მხრიდან გვაწვდიდნენ მზერას და თავიანთი განვლილი გზიდან მნიშვნელოვანი ნიშანსვეტების მომავალი თაობებისთვის შენახვა-გაცნობას უსიტყვოდ გვთხოვენ.

ძველი სენაკის აწმყოზე „კოლხეთის“ წინა ნომრებში ვისაუბრეთ, ახლა წარსულს მივუბრუნდეთ.

დგას მეციხოვნედ მარადისობის

ძვ სენაკის სკოლის პირველი ნაგებობა (ამ სკოლის კურთხევას ესწრებოდნენ ა. წერეთელი, დ. ყიფიანი და სხვები)

1830 წელს დაარსებული მარტვილის სასულიერო სასწავლებელი მე-19 საუკუნის სამეგრელოში ერთადერთი ოფიციალური სკოლაა. შემდეგ, საუკუნის მიწურულს, ერთკლასიანი რუსული სასწავლებლებიც ჩნდება. ასე, 1874 წელს ძველ სენაკში გაიხსნა ერთკლასიანი –ე.წ. სამინისტრო სკოლა რუსულ ენაზე. ,,იმ დროს სამეგრელოში არც ერთი ქართული სასწავლებელი არ არსებობდა. საჭიროება კი დიდი იყო. იგი ქართული კულტურის პროპაგანდისტი უნდა გამხდარიყო სამეგრელოში. სწორედ ამ მოტივით ხელმძღვანელობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებლი საზოგადოების გამგეობა, როცა გადაწყვიტა და კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისაგან მიიღო ნებართვა ძველ სენაკში გაეხსნა მესამე თანრიგის სასწავლებელი. გადაწყდა ქუთაისის სააზნაურო სკოლის ერთი მოსამზადებელი განყოფილება გადაეტანათ ძველ სენაკში, დაემატებინათ მეორე და ჯერ ორგანყოფილებიანი, ხოლო შემდეგ ოთხგანყოფილებიანი დაწყებითი სკოლა გაეხსნათ. ეს საკითხი პრაქტიკულად 1884 წელს გადაწყდა" (ი. მიქაძე, ვ.გაგუა-,,ძველი სენაკის საშუალო სკოლა").

სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები. 1897 წ.

მეორედ აგებული სკოლის ძველი კორპუსი

მოგვიანებით შალვა დადიანი სკოლის გახსნის შესახებ წერდა: „...სასწავლებელი დიდის ამბით გაიხსნა წერა-კითხვის საზოგადოების მეთაურობით და რომლის გახსნასაც დაესწრო არამცთუ მაშინდელი სამეგრელოს მოწინავე საზოგადოება, არამედ თბილისიდან ჩამოსული ისეთი თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ დიმიტრი ყიფიანი, ივანე მაჩაბელი, აკაკი წერეთელი და სხვები. ყველა ამათ გარემოების შესაფერი სიტყვები წარმოთქვეს თურმე...

ასე რომ, მაშინ ასეთი სკოლის დაარსება სამეგრელოში დიდ ეროვნულ გამოფხიზლებას უდრიდა და აკი ცოტაოდენად თავმოღერილ მეგრელს, ესმოდა თუ არ ესმოდა მნიშვნელობა ამ გარემოებისა, თავი მოსწონდა და საზოგადოებაში ტრაბახობდა კიდეც".

სკოლამ ფასდაუდებელი სამსახური გაუწია მხარის ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის საქმეს. პირველსავე წელს სწავლის მსურველთა რაოდენობა მისაღებს ბევრად აღემატებოდა. თურმე ერთ წელიწადში ცხრა ოთახიანი, ერთ სართულიანი, ნაგებობა აუშენებიათ, 4 ოთახი კლასისთვის, ერთი ბიბლიოთეკისთვის, ერთი სააქტო დარბაზისთვის და 3 მასწავლებელთა საცხოვრისისთვის იყო განკუთვნილი.

90-იან წლებში სკოლაში აგრონომიული მიმართულებაც შემოუღიათ, ამასთან დაკავშირებით დამხმარე ნაგებობა მიუშენებიათ სკოლისთვის, სადაც ასწავლიდნენ სოფლის მეურნეობის დარგებს, როგორიცაა: მეაბრეშუმეობა, მებაღეობა, მევენახეობა. სკოლას ჰქონდა ვაზის, ხეხილის, სანერგე ნაკვეთები, ჰყოლიათ ფუტკარი.

სკოლის საუკეთესო ბიბლიოთეკის წიგნად ფონდს წერა-კითხვის საზოგადოება ავსებდა, ასევე სკოლა თავად ყიდულობდა საჭირო ლიტერატურას მშობლების მიერ შეგროვილი თანხით.

1910 წელს ჯერ სკოლის ხის, მეორე წელს კი ქვიტკირის ნაგებობა ხანძრის შედეგად განადგურებულა. მაგრამ ხანძრის გაჩენიდან ერთ წელიწადში ისევ აღუმართავთ სკოლის ახალი შენობა ადგილობ-

ვარლამ თოფურია

რივებს. 1919 წელს სააზნაურო და სამინისტრო სკოლები გაერთიანდა, მივიღეთ სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი. იგი ჯერ, 1929 წელს, კოლმეურნე ახალგაზრდობის, ხოლო 1933 წელს საშუალო სკოლად გადაკეთდა. ძველი სენაკის სკოლაში (გამგეებად თუ მასწავლებლად) მოღვაწეობდნენ ისეთი სახლეგანთქმული ადამიანები, როგორებიც იყვნენ: ს. ყიფიანი, ნ. ჯანაშია, დ. ოყრეშიძე, ი. ნიკოლაიშვილი, ი. გომელაური, გ. ბოკერია, ა. შუბლაძე, და ა.შ. თითოეული მათგანი გარდა იმისა რომ მასწავლებლის შრომატევადი საქმით იყვნენ დატვირთული, ეწეოდნენ შემოქმედებით, გნებავთ სამეცნეირო საქმიანობებსაც. ისინი ხშირად ბეჭდავდნენ თავიანთ შრომებს, წერილებს, თარგმანებს, მოთხრობებს... „ივერიაში", „მოამბეში" სხვადასხვა ფსევდონიმებით, ადგენდნენ სახელმძღვანელოებს, ასეთ პედაგოგთა ხელში დაფრთიანებული შეგირდები მომავალში მწვერვალებს დაიპყრობენ, სკოლის საამაყოდ უნდა ითქვას, რომ მის კურსდამთავრებულთაგან ხუთი აკადემიკოსი გახდა: ***კონსტანტინე გამსახურდია, ვარლამ თოფურია, სიმონ ჯანაშია, არნოლდ ჩიქობავა და პეტრე ქავთარაძე,*** სკოლას ასევე უამრავი უმაღლეს დამთავრებული, პროფესორი და წარჩინებული ადამიანი ჰყავს აღზრდილი.

არნოლდ ჩიქობავა

როგორც წინა ნომერში ვწერდით, სკოლის ახალი კორპუსში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, როცა დასრულდება და კეთილმოეწყობა თავისი ინფრასტრუქტურით ერთ-ერთი საუკეთესო, საგანმანათლებლო პროცესს მორგებული, სკოლა იქნება. ძველი კორპუსის ისტორიული ფლიგელი კი? დაღვრემილი, წლებით მხრებდამძიმებული, თავის დღეთ ყოფაზე დაფიქრებული მზერას გვარიდებს. თითქო გვეუბნება ჩემსას ვერ გაიგებთ, ჩვენს შორის ხომ 139 წელი დევსო.

უნდა აღინიშნოს, რომ სამეგრელოში მოგზაურობის დროს სწორედ ამ სკოლას ილია სტუმრობდა.

სკოლის კურსდამთავრებულ აკადემისკოსთა შორის, დიდი ენათმეცნიერი არნოლდ ჩიქობავა ადგილობრივია. საჩიქობაოში დაბადებული და გაზრდილი, მისი ნატერფალი ისე როგორც სხვების, აქ ყველგანაა, ნაფეხურებზე არ ვამბობ, სულის ნატერფალს ვგულისხმობ.

არნოლდ ჩიქობავას სახლმუზეუმში მისი და ოჯახის წევრების ნაქონი, სიძველით დაღდასმული ნივთები მოგიყვებიან სასწაულ ამბებს „ძველი დიდების".

პეტრე ქავთარაძე

სიმონ ჯანაშია

სოფლის თავკაცმა, სკოლის დირექტორმა, დაინტერესებულმა პირებმა გვითხრეს: მიმდინარეობს მუშაობა იმაზე, რომ შესაძლებელი გახდეს აღნიშნული ნაგებობის აღდგენა. მიგვაჩნია, რომ ამ შენობის განხლება-კეთილმოწყობა, გნებავთ შესაბამისი სტატუსის მინიჭება, აქ დაცული ექსპონანტებისათვის საჭირო გარემოს შექმნა ისეთივე საშვილიშვილო საქმეა, როგორც თავის დროზე აღნიშნული სკოლის შექმნა.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ რუდუნებით გახსნილი ეს ნაგებობა უნდა იყოს სავიზიტო ბარათი მუნიციპალიტეტის სვრცეში.

კონსტანტინე გამსახურდია

გარდა იმისა, რომ ძველიდიდების მემატიანეა, ჩვენი არსებობის არსია, გამართლებაა, გაგრძელებაა, იმდენად, რამდენადაც ის ისტორიული მეხსიერების ბმაა თანამედროვეობასთან, ჩემში შენში, თქვენში დალექილი წარსულია აწმყოში გადმოსული, ჩვენს სულში მარადისობის მეციხოვნეა, ჩვენი კუთხის (არა მხოლოდ) სანიმუშო ნიშანსვეტია .. ბოლოს და ბოლოს ჩვენი ბრძენი წინაპრების მიერ თაობებისთვის ბოძებული განათლების კერაა.

ნონა სართანია,
მაია გერგაია,
მარიკა მიქაბერიძე

ქვაზე დადებული მადლი

პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსება დიდი ისტორიული, ეროვნული, გნებავთ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოვლენა იყო. მოგეხსენებათ საქართველოს დამოუკიდებლობის გაუქმების შემდეგ ჩვენი ქვეყანა ფაქტიურად მეფის რუსეთის კოლონია გახდა. ქართული ენა რუსულმა ჩაანაცვლა, დაწყებით თუ საშუალო დონის სასწავლებლებში სწავლება რუსულად მიმდინარეობდა. წარმოება-დაწესებულებებში საქმის წარმოება ასევე უცხო ენაზე იყო. მაშინდელი ქართული საზოგადოების სამეტყველო ენაც რუსული გამხდარიყო... ეს იყო ჟამი, როცა „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“ ისმოდა. ქართული თვითმყოფადობა, ეროვნული ინტერესები საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, ეროვნული სულის ცალკეული „აფეთქებები“ სინამდვილეს ვერ ცვლიდა.





ასეთ დროს უმაღლესი სასწავლებლის, ისიც ქართული უნივერსიტეტის შექმნა, ჩვენი სამშობლოსთვის უდიდესი აქტი იყო მრავალი თვალსაზრისით.

ამ კუთხით ივანე ჯავახიშვილისა და მისი თანამოაზრეთა დაუღალავი ღწვა როგორც იქნა წარმატებით დაგვირგვინდა. 1917 წ. დეკემბერში ამიერკავკასიის კომისარიატმა ქართული უნივერსიტეტის გახსნის თხოვნა დააკმაყოფილა.

„შენობა იყო, სრულად ცარიელი და ... ავეჯი არ გვქონდა, განათებაც არ იყო, არც გათბობა, მუშაობა უნდა დაგვეწყო იანვარში, ფული იყო საჭირო. ის ფული რაც გვქონდა, ძლივს ყოფნიდა იმ ავეჯსა და გათბობას, რაც აუცილებელი იყო... საქმე უნდა ჩაშლილიყო, მაშინ პატარა ჯგუფმა სთხოვა გამგეობას: თუ თქვენ ვერ კისრულობთ პასუხისმგებლობას ნუ დაუშლით იმ ხალხს, რომელსაც უნდა თავისი პასუხისმგებლობით გახსნას უნივერსიტეტი, ის კისრულობს პასუხისმგებლობასო. ეს თანხმობა მიღებული იყო და ამგვარად გაიხსნა უნივერსიტეტი" – იხსენებს ივანე ჯავახიშვილი.

აქედან ნათლად ჩანს, რომ დადგა რეალური საქმის კეთების ჟამი, სადაც უამრავი დაბრკოლება იყო გადასალახი – ფინანსური, ტექნიკური, სამეცნიერო, საკადრო, ყოფითი, ათასი წვრილმანი და მსხვილმანი ასპექტები გასათვალისწინებელი.

ამ საქმეში ივანე ჯავახიშვილსა და მის გუნდს საქართველოს ყოველ კუთხეში გამოუჩნდა თანამგრძნობნი. ვისაც რისი საშუალება, შეძლება ჰქონდა იმით ეხმარებოდა ამ საშვილიშვილო საქმის მესვეურთ. ამ ადამიანების ღვაწლს აღნიშნული კუთხით ფართო საზოგადოება კარგად არ იცნობს, არადა მათი ღვაწლი უფრო დასაფასებელია, რადგან ისინი მოქმედებდნენ არა სხვისი მითითებით, დავალებით, არამედ საკუთარი სურვილით, რადგან შეგნებული ჰქონდათ ერისთვის თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართული უნივერსიტეტის არსებობას.

ასე დაფუძნებულმა ქართულმა უნივერსიტეტმა ერის ინტელექტუალურ ზნეობრივ, კულტურულ... მთლიანად საგანმანათლებლო ცნობიერების ამაღლება განმტკიცებაში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა. ამ საქმეში მრავალთა ისეთი „პატარ-პატარა“ სიკეთეები ურევია, რომელსაც ხალხური სიბრძნე ასე ხსნის: „კარგი ქენი ქვაზე დადე, გაიარე წინ დაგხვდება“

დღეს გვინდა საუკუნის წინანდელი მათი ქველმოქმედების რამდენიმე მაგალითი სამზეოზე გამოვიტანოთ. გაგაცნობთ ჩვენი კუთხის (მაშინდელი სენაკის მაზრის) პროგრესულად მოაზროვნე და მოღვაწე პიროვნებების წერილებს, დაცულს ეროვნული არქივის ფონდებში.

უნივერსიტეტისთვის შემწეობის აღმომჩენი ამ ადამიანებიდან ოლღა ხოფერია ყოფილა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სენაკის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე, ხოლო შხეფელ ივლიანე ხოფერიას, ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის კურსდამთავრებულს ბერლინში აუმაღლებია კვალიფიკაცია, შემდეგ ქუთაისში ჩამოსულა და აქ თავისი პროფილით სხვადასხვა პოზიციებზე უმოღვაწია. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სენაკის განყოფილების წევრი აქ-



ტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობით რჩეულა, პროფესორ ვ. სნეგირიოვის მოწაფე სენაკში სამაზრო საავადმყოფოს გახსნის ინიციატორი და დამფუძნებელია.



დანარჩენი ბარათების ავტორთა ვინაობა ვერ დავაზუსტეთ, თუ თქვენ იცით მათზე, მოგვწერეთ და ჩვენ საზოგადოებას გავაცნობთ მათ ისტორიას. შთამომავლობამ უნდა იცოდეს ასეთ ადამიანებზე.

ბაჩანა სართანია

გაზეთი, რომელიც უყვართ, ელოდებიან...

შეიძლება ყველა შენი ოცნება ახდეს, თუ თავიდანვე განსაზღვრავ რა გინდა. პატარა ასაკში, როგორც ყველა ჩემი თანატოლი, მეც ვწერდი. ჩემს ოცნებებს იმ ნაწერებში ვაშენებდი, ამიტომ ის წლები ცხოვლად დაემჩნა ჩემს სულს. ერთ დღესაც ჩემი ჩანახატი აჩვენეს ბატონ ვლადიმერ წირღვავას, საოცარ ადამიანსა და დიდებულ პიროვნებას. მეორე დღეს ჩანახატი გაზეთ ,,კოლხეთის" ფურცლებზე აღმოჩნდა. ეს ჩემთვის დიდ წარმატებასთან ერთად იყო სტიმულიც, ჩემი ცხოვრების მიზნის გაცნობიერება, წარმატებისაკენ მიმავალი გზა. ამ გაზეთმა რაღაცნაირად თავი მაპოვნინა, მას შემდეგ ამ გაზეთს სულმოუთქმელად ველოდი და არამარტო მე, იგი ჩვენი რაიონის მცხოვრებთა უსაყვარლესი გაზეთი იყო, არის და იქნება. რამდენჯერაც მასში ჩემს შესახებ დაიწერებოდა, იმ აბზაცებს, წინადადებებს, სიტყვებს, ასოებს ვესათუთებოდი, ეს კი მრავალჯერ იყო, ჩემი სხვადასხვა სამსახურებში მონაცვლეობის გამო(ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემა, განათლების განყოფილება, ჟ. შარტავას სახელობის მეორე საჯარო სკოლა).

100 წელი ანებივრა ამ შუქურამ რაიონი, უამრავ თემას აშუქებდა, სულ მცირედი მიღწევაც არ რჩებოდა უყურადღებოდ, ისტორიითა და კულტურული ტრადიციებით მდიდარი კუთხის მაჯისცემას ამცნობდა მცხოვრებთ. ეს იმ ადამიანთა წყალობით იყო, ვინც წლების მანძილზე გაზეთ კოლხეთის" რედაქციას წარმოადგენდა. მეამაყება, რომ მათ გზას დღეს ღირსეულად, რუდუნებით აგრძელებს დღევანდელი შემოქმედებითი ჯგუფი.

ეს გაზეთი ყველა სენაკელის (იქ მცხოვრები თუ იქიდან წამოსულთა) უსაყვარლესი გაზეთია. ასე მინდა გაგრძელდეს უამრავი წელი.

გილოცავთ, ამ დიდებულ და საამაყო თარიღს ყველას, განსაკუთრებით რაიონის ხელმძღვანელობას, გაზეთის თანამშრომლებს. ,,კოლხეთი" სამარადჟამოდ ყოფილიყოს ჟამთააღმწერელი და მაცნე ჩვენი საყვარელი ქალაქის წინსვლის, წარმატებებისა და მიღწევების.

მანანა ცომაია,
მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული
ცენტრის კონსულტანტ-
მასწავლებელი, მენტორი

სათუთად ვინახავ

დაარსებიდან 100 წელი – მართლაც, ღირსშესანიშნავი თარიღია. საუკუნოვან მედია- საშუალებას ვულოცავ იუბილეს! ასეთი ხანგრძლივი ისტორიის მქონე გაზეთი ვერ შეძლებდა არსებობას, რომ არა პროფესიონალთა გუნდის დიდი შრომა.

გულწრფელობა მინდა გამოვხატო იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც იმსახურებენ მკითხველის განსაკუთრებულ პატივისცემას, მოღვაწეობის არც თუ მარტივ გზაზე,

მადლობა მინდა გადავუხადო გაზეთის სარედაქციო კოლექტივს წლების მანძილზე ქ. სენაკის საზოგადოების, ერის და საქართველოს წინაშე განეული კეთილშობილური საქმის კეთებისთვის, რის გამოც, თაობათა ცვლილებების მიუხედავად, ერთი რამ რჩებოდა უცვლელი - მკითხველის სიყვარული.

ჩემთვის, ბავშვობის წლებიდან მოყოლებული, ,,კოლხეთი» მუდმივად იყო რაიონის ცხოვრების მემატიანე და მოსახლეობის ინფორმაციის წყარო. დარწნუნებული ვარ, გაზეთის არქივი ინახავს უმდიდრეს საინფორმაციო და ფოტო მასალას. ჩემს არქივში კი შემონახული მაქვს 70-80-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე გამოსული, ზოგიერთი უკვე გაყვითლებული რამდენიმე ნომერი, რომლებსაც სათუთად ვინახავ, რადგან ჩემი და ჩემი ოჯახის წევრების შესახებ უამრავ მასალას შეიცავს.

გაზეთ ,, კოლხეთს» ვუსურვებ წარმატებებს, მუდმივ სიახლეებს და ერთგული მკითხველის სიმრავლეს. დიდხანს და განუხრელად დგომას სიმართლის სადარაჯოზე!

პატივისცემით
მარინე გელანტია,
ს.ს. ჩაჩავას კლინიკის
გენერალური დირექტორი,
სენაკის საპატიო მოქალაქე

შეხვედრა შტატგარეშე ჯოხესპონდენტებთან: ბ. შენგელია, ნ.ჯღარჯავა, ჰ. ჯანჯღავა, ე. ადამია, ღ. გადელია, გ. ხობაქიძე, ო. ცეტვაშვილი, გ. სარითანია, ტ. ჯაღანდარიშვილი, ს. ჯუჭავა, გ. მზარელია, ნ. ჯაჯაშვილი, ზ. ფაჩელია და სხვები (80-იანი წლები)

გაზეთი „კოლხეთი" ასი წლის გამხდარა

დროის მარადიულ დინებას მიჰყვება ჩვენი მეგობარი – სულ-გონებით, აზროვნებითა და ზნეობით საყვარელი გაზეთი „კოლხეთი" და ასი წელი შესრულებია ამ საოცარ იუბილარს, უდიდეს-უძველესი სახელმწიფოს სახელს რომ ატარებს. ჩვენი თამამი, ჭეშმარიტების მქადაგებელი, პრესა უტყუარმიმომხილველი, სიკეთის, სიყვარულის, ურთიერთმეგობრობის, სათნოების, ზოგჯერ მართლმადიდებლურ სევდასაც რომ გვამცნობს და სამშობლოს ნათელი პატრიოტიზმის მქადაგებელი მეხოტბე-შთამაგონებელია. ხიბლი – გაზეთი „კოლხეთი" ჩვენი ქალაქის, თავისი რამდენიმე კეთილშობილი და მიმზიდველი ისტორიის მქონე სოფლის სულიერი საზრდოთი მკვებავი, საღი აზროვნება და გონებაა. მის დიდებულ გვერდებზე გაჟღერდება ხოლმე ფრიად საგულისხმო და ჩამაფიქრებელი წერილები, მოგონებები, დარიგებები მედიცინის, ხელოვნების, სოფლის მეურნეობის ამოუწურავ საკითხებზე, მილოცვები, საუბარი მრავალ თანამედროვე წარმატებულთა მიღწევებზე; ზოგჯერ ამღერდება ხოლმე ხელოვნება, პროზა, პოეზია, ფერწერა, მუსიკა ქანდაკება-არქიტექტურით, ხშირად გაიელვებენ სენაკის დრამატული თეატრის რეჟისორების, მხატვრების, მსახიობების ნიჭიერი მიღწევები; აქვე შემოდის გაზეთის საუფლოში როგორც კლასიკური, საესტრადო მომღერლების, ასევე ხალხურ შემოქმედთა მშობლიური ხმა, ულამაზესი ქართული ცეკვებით. მათ დიდებულ მიღწევებზე უშურველია ჩვენი ქართული რაინდული თვისების გაზეთი. ასევე ფრიად საგულისხმოა დიდებული წერილები, დარიგებები, მილოცვები, სუბარი ნებისმიერ პროფესიაზე, წარმატებულთა მიღწევებზე. თავისებურად მის გვერდებზე ამღერდება ხელოვნება ახალგაზრდების, მომავალი თაობის წარმატებები. დიახ! მეგობრებო, ჩვენი ოჯახური სითბო გაზეთი „კოლხეთი" თემატურად ვრცელი და უზარმაზარი ტევადობისაა როგორც ფსიქოლოგიურად, ასევე ზნეობრივად და ზოგჯერ სამართლიანი კრიტიკის სფეროსაც არ ღალატობს. ასე რომ, გაზეთი „კოლხეთი" ქალაქ სენაკის, მისი უმშვენიერესი საამაყო სოფლების საღი გონება, ქართული აზროვნება, წმინდა ზნეობა და ღრმა ადამიანური ფიქრებია.

ვულოცავ ჩვენს და ყოველი თქვენგანის საყვარელ და მეგობარ გაზეთ „კოლხეთს" საუკუნის კეთილად შესრულებას, მის საყვარელ თანამშრომლებს, ღირსეულ ჟურნალისტებს მთავარი რედაქტორის, ქალბატონ ნინო სართანიას პატრონობით. ჩვენმა ნინომ უკვე დიდი ხნია, გაზეთს შემატა სათნოება, გონიერება, წინდახედულობა და წმიდა ქართული სიყვარული.

გაზეთი „კოლხეთი" მრავალმხრივ ამართლებს ისტორიული უძველესი კოლხეთის სახელს, რომელიც კაცობრიობის ცივილიზაცია-კულტურის თავ-წყაროა (უცხოელ მეცნიერთა აღიარებაა, როგორც უძველესთა, ასევე თანამედროვეთ). დღეს ყოველმა მეცნიერ-სწავლულმა უნდა გამოიძიოს, აღიაროს და ამხილოს ყოველგვარი ადამიანური სისუსტიდან გამომდინარემ, ძველი კოლხეთისა და იბერიის ისტორიული დიდება, განსაკუთრებით ოკუპირებული საქართველოს მსოფლიოს წინაშე წარდგენისთვის. ისედაც როგორი ასატანია უძველესი კოლხეთის ცივილიზაცია-კულტურის ნიშან-ექსპონატები, მინისა და წყლის ქვეშ რომაა მოქცეული და ნადგურდება. მცირედ იმედად დაგვრჩენია სამყაროს უსასრულო სივრცის უხილავი მეხსიერება, სამუდამოდ რომ ინახავს უძველესი კოლხეთის დაახლოებით რვა ათასწლოვან ისტორიას, რომელიც სრულიად საქართველოს მარადიული დიდება და სიამაყეა.

აი და, ჩვენი გაზეთი ამ უზარმაზარი ისტორიის მქონე ქვეყნის სეხნიაა, მუდმივი ხსენება კოლხეთისა და მისი ყოველი საოცარ-მნიშვნელოვანის მატარებელ-შემნახველია, როგორც კოლხი მედეას სახელს ატარებს მარადიულად კაცობრიობის ჯანმრთელობის დაცვის მეცნიერულ-შეგონებითი სივრცე. აქვე მოვიხსენიოთ კოლხეთის უპირველესი კულტურა რკინის მოპოვებისა, ღვინო, რელიგია და ხელოვნება. ნუ გვეშინია სიმართლის, ასე იყო და მომავალში უფრო დამტკიცდება, კაცობრიობის გენიის მეცნიერულ ანალიზს ვერაფერი ვერ შეარყევს

მთელი სისავსით ვლოცავ გაზეთ „კოლხეთს", ასევე უწყვეტ-მარადიულად ემსახუროს კოლხურ-იბერიულ-ქართული აზროვნება სიტყვიერებისთვის და ამინ, ჩვენთან იყოს უფალ-კოსმოსი!

რეზო ადამია,
მწერალ-მხატვარი

საუკუნოვანი ისტორიით

დიდი სიხარულითა და პატივისცემით ვულოცავ გაზეთ «კოლხეთს» და მის კოლექტივს 100 წლის იუბილეს. როგორც ყოფილ თანამშრომელს, ჩემი ოჯახის წევრებთან – გაზეთ კოლხეთის სოფლის მეურნეობის და მშრომელთა წერილების განყოფილების გამგესთან ლამარა გადელიასთან და შტატგარეშე კორესპონდენტთან, ლელა გოგინავასთან ერთად, გვქონდა პატივი, ვყოფილიყავით ამ გაზეთის ნაწილი და ჩვენი წვლილი შეგვეტანა მის განვითარებაში.

წლების მანძილზე ბეჭდურმა ინდუსტრიამ მრავალი ცვლილება განიცადა, მაგრამ გაზეთი «კოლხეთი» თავისი მკითველისთვის დარჩა ახალი ამბებისა და ინფორმაციის მიწოდების სანდო წყაროდ. ძალიან დასაფასებელი და შთამაგონებელია მომავალი თაობებისთვის თითოეული იმ ადამიანის ღვაწლი, კეთილსინდისიერი სამსახური და ჟურნალისტური ერთგულება, რომლებმაც სირთულეების მიუხედავად, დღემდე საუკუნოვანი ისტორია შექმნეს და ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ეს ისტორია არ შეწყვეტილიყო. გაზეთ «კოლხეთს» კარგად ახსოვს მისი არაერთი სახელოვანი რედაქტორის – ვლადიმერ წირღვავას, ბორის შენგელიას, ლუდმილა მოწერელიას, მამანტი ქვარცხავას, მოკოდი აბშილავას, რევაზ ჯანჯღავას, თამაზ კანკიას დაუღალავი შრომის კვალი.

გაზეთ «კოლხეთის» ისტორია იმ ადამიანებმა შექმნეს, რომლებიც სტამბაში ნახშირიანი კლიშეებით ასო-ასო აწყობდნენ გაზეთს და შემდგომ რედაქციის თანამშრომლები ღამეს ათევდენ კორექტირებაში, რომ დილით თავიანთი ერთგული მკითხველისთვის გაზეთის მორიგი, ახალი ნომერი მიეწოდებინათ. ტექნოლოგიები განვითარდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, დღესაც არანაკლებად მოტივირებულია ის თაობა, რომელიც ყოველი ახალი ნომრის გამოსვლისას სიამაყით ივსება და თვლის, რომ ისიც ამ დიდი ოჯახის ნაწილია.

საუკუნოვანი ისტორია ცოტა ნამდვილად არაა, ამ ისტორიის ღირსეული გაგრძელება შრომასთან ერთად საპასუხისმგებლო საქმეცაა, რომელსაც ამჟამინდელი კოლექტივი, ნინო სართანიას, მედიკო ბაღათურიას, მაია გერგაიას, ჟულიეტა ჩაჩიბაიას და მარიკა მიქაბერიძის შემადგენლობით წარმატებით ართმევს თავს. მსურს თითოეულ მათგანს, მივულოცო ეს ღირსშესანიშნავი თარიღი და ვუსურვო განვითარება, ემსახურონ სიმართლეს, შეინარჩუნონ და გაზარდონ ერთგულ მკითხველთა რაოდენობა.

ნორა გადელია,
ყოფილი პედაგოგი,
სენაკის საპატიო მოქალაქე

მართალი სიტყვის გამო გვიყვარდა და გვიყვარს

100 წლისაა ჩვენი საამაყო გაზეთი ,,კოლხეთი». ასი წელია დახვეწილი ფორმით, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხმითა და ტემბრით გვიამბობს სენაკისა და სენაკელების, მთელი რეგიონის სიხარულისა თუ ტკივილის, მარცხისა თუ წარმატებების შესახებ.

მე ის წლებიც მახსოვს, როცა მას ,,ავანგარდი» ერქვა, მახსოვს, როგორ გამოიყურებოდა და რატომ უყვარდათ მისი ხმა...

მინდა, შემდგომ თაობებს ვუთხრა: დიახ, გასული საუკუნის ,,ახალ ეპოქაში» იშვა ,,კოლხეთის» ღირსეული წინამორბედი ,,ავანგარდი» და ისევე, როგორც დღევანდელი ,,კოლხეთი», ტაქტიანად გვამცნობდა გამეფებული დროის ყოველ ცვლილებას, მიღწეულ წარმატებებსა და ნაკლს.

ჩვენ, სენაკელებს, სწორედ თავისი მართალი სიტყვის გამო გვიყვარდა და გვიყვარს ჩვენი მშობლიური რაიონული გაზეთი. სევდიანია თუ სიხარულით სავსეა მისი ფურცლები, მთავარია, რომ ეჭვი არასდროს შეგვიტანია ინფორმაციის ნამდვილობაში.

დღეგრძელობას ვუსურვებ ,,კოლხეთს», ყველა დროის კოლხეთელსა და გაზეთის დღევანდელ შემოქმედებით ჯგუფს ამ ბობოქარ საუკუნეში! გისურვებთ გამძლეობას და სწორი გზებით წინსვლას ტყულისა და სიმართლის ჭიდილში!

გილოცავთ!

ნანა შალამბერიძე,
პროზაიკოსი, მთარგმნელი,
საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, ქართულ-ირლანდიური ცენტრის ხელმძღვანელი

„კოლხეთი“ კარგი გაზეთია

გილოცავთ! 100 წელი ცოტა არაა. ეს იმას ნიშნავს, რომ საუკუნეა ეს გაზეთი სენაკის მატიანეა, სენაკის სახე, სენაკის ისტორიაა და ამ ხნის განმავლობაში სათუთად ინახავს ამ კუთხის საუკუნის ამსახველ საინფორმაციო მასალებს. ვინც სენაკის ისტორიის დაწერას დაიპირებს, უპირველესად ამ გაზეთის ძველ ნომრებში უნდა ჩაიხედოს. მე, როგორც კი ხელთ ჩამივარდება, სიამოვნებით ვკითხულობ ამ გაზეთს და აქედან გამომდინარე ვამბობ: «კოლხეთი» კარგი გაზეთია, რაც იმას ნიშნავს, რომ კოლექტივიც კარგი ჰყავს. ვულოცავ ყველა თანამშრომელს 100 წლის იუბილეს და ვუსურვებ წარმატებებს სენაკისა და მთელი ჩვენი რეგიონის საკეთილდღეოდ. კიდევ უამრავი წელი მოგველოცოს, მეგობრებო!

ფაუსტ ნადარაია,
გაზეთ «მარტვილის» რედაქტორი

მაცნე უკეთესი მომავლისა

გაზეთი „კოლხეთი“ სენაკის ცოცხალი მატიანეა. მის ფურცლებზე მარცვალ-მარცვალაა აკინძული 1923 წლიდან განვლილი 100 წლის განმავლობაში რაიონის ცხოვრებაში მომხდარი ყოველი ფაქტი, მოვლენა.

„კოლხეთს“ არასოდეს უღალატია თავისი მკითხველისათვის, ამ ტრადიციას იგი დღესაც ღირსეულად აგრძელებს. მოსწავლეობიდანვე აქტიურად ვიყავი ჩართული გაზეთის საქმიანობაში, როგორც ნორჩი კორესპონდენტი. დღემდე მახსოვს პირველი წერილის დაბეჭდვით გამოწვეული აღფრთოვანება და სიხარული. საგაზეთო მასალები და ძველი ნომრები მამის, როგორც გაზეთის კორეპონდენტის, ასევე პირადად ჩემი წერილები და კორეპონდენციები დღესაც შენახული მაქვს სათუთად და დღემდე ვაგრძელებ ამ ტრადიციას, მოუთმენლად ველოდები გაზეთის ახალ ნომრებს.

მეამაყება, რომ საუკუნის თანატოლი ჩვენი გაზეთი, როგორც ყოველთვის, დღესაც ახალგაზრდული შემართებით, მაღალპროფესიულ დონეზე, ობიექტურობითა და მიუკერძოებლობით ემსახურება მართალ სიტყვას, რითაც იმსახურებს საზოგადოების პატივისცემასა და მაღალ ნდობას. ყოველივე ეს სათავეს იღებს წინა თაობის ღვაწლმოსილი და ერუდირებული რედაქტორებისა და ჟურნალისტებისაგან. მინდა უღრმესი პატივისცემით მოვიგონო ისინი,ბატონები: მამანტი ქვარცხავა, მოკოდი აბშილავა, რევაზ ჯანჯღლავა, ბორის შენგელია, თამაზ კანკია, ბორის მილუტინი, სოლომონ კუჭავა, გალაქტიონ რობაქიძე, ილო წირღვავა, კარლო ტაბაღუა, ანდრო ეჯიბია, იონა გვასალია. ქალბატონები: გოგოლა მზარელუა, ლამარა გადელია და იზოლდა ჩვამანია. მადლიერი ვარ, რომ სასარგებლო-რჩევა დარიგება მიმიღია მათგან.

გაზეთის იუბილეს ვულოცავ გაზეთის ყოფილ პასუხისმგებელ მდივანს. რევაზ გრიგოლავას, ნიჭიერ ჟურნალისტს – ნანა ფაჩულიას. ასევე მადლიერებას გამოვხატავ „კოლხეთი“-ს დღევანდელი მესვეურების მიმართ, რომლებიც სახელოვნად აგრძელებენ გაზეთის საუკუნოვან, მდიდარ ტრადიციას.

გაზეთისა და საერთოდ ჟურნალისტიკისადმი სიყვარულმა გადამაწყვეტინა დავუფლებოდი ფილოლოგისა და საზოგადოებრივი ჟურნალისტიკის სპეციალობას. – გაზეთ „კოლხეთში“ გამოქვეყნებული ჩემი წერილებით გამიცნო მაშინდელმა საზოგადოებამ, ადგილობრივმა ხელისუფლებამ, რამაც გარკვეული როლი ითამაშა ჩემს კარიერულ წინსვლაში.

გაზეთში მიღებულ გამოცდილებას ვუმადლი იმას, რომ სტუდენტობის წლებში და შემდეგ აქტიურად ვთანამშრომლობდი პრესის და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, ვიყავი რესპუბლიკური – ახალგაზრდული გაზეთების კორესპონდენტი, რეგიონალური საინფორმაციო სამსახურის კოორდინატორი.

გაზეთ ,,კოლხეთსა" და მის შემოქმედებით ჯგუფს მთელი სულითა და გულით ვულოცავ იუბილეს და ვუსურვებ, რომ მათი თითოეული ნომერი ყოფილიყოს ნათელი მომავლის მაცნე.

იზარდი ნოწონავა

იუბილეს გილოცავთ!

,,კოლხეთი“ ყველა ჭეშმარიტი სენაკელის საყვარელი გაზეთია. მისი ყოველი ახალი ნომერის გამოსვლას მოუთმენლად ელოდება მისი ერთგული მკითხველი. სიახლეებს რომლებიც ჩვენს ქალაქში ხდება სწორედ ამ გაზეთიდან ვიგებთ.გვიყვარს გაზეთი ,,კოლხეთი“ და გვეამაყება, რომ მან წლებს ღირსეულად გაუძლო და დღესაც საინტერესოდ აგრძელებს შემოქმედებით საქმიანობას. გილოცავთ კოლხეთელებო 100 წლის იუბილეს, ბედნიერ,წარმატებულ წელთა სიმრავლეს, ბევრ მკითხველს და საინტერესო შემოქმედებით საქმიანობას გისურვებთ

სენაკის აკაკი ხორავას სახელობის
სახელმწიფო დრამატული თეატრი

კიდევ მრავალი წელი შეგმატებოდეთ

ჟურნალისტიკა უზარმაზარი ფუნქციური ინსტიტუტია, რომელსაც ევალება საზოგადოებრივი აზრის წარმართვა.

გაზეთი ,,კოლხეთი" 100 წელია თავის ფურცლებზე წარმატებით ახერხებს ჩვენი ქალაქის წარსულის თუ უახლესი ისტორიის ყოველ ფაქტს, მოვლენის აღნუსხვას.

გილოცავთ 100 წლის იუბილეს. გაზეთმა დღემდე რომ შეინარჩუნა სახე ნამდვილად მისი მუშაკების დამსახურებაა. თქვენ ნამდვილად აკეთებთ ეროვნულ საქმეს-მშობლიურ კუთხეს მატიანეს უქმნით.

ძვირფასო ,,კოლხეთელებო" კიდევ მრავალი წლები გაგეძლოთ და ყოფილიყავით ჩვენი ულამაზესი რეგიონის მემატიანედ

მერაბ ჩიქობავა,
სენაკის დამოუკიდებელი ტელეკომპანია ,,ეგრისის" დირექტორი

ჩემი ერთგული მეგობარი

ამგვარი სათაური შემთხვევით არ შემირჩევია. სხვა სულიერი მეგობარი, მის დარი მოერთგულე არ შემომრჩა. ორმოცდაათ წელზე მეტი ერთად მოვდივართ. სრულიად ახალგაზრდას მან მომცა საშუალება საზოგადოების წინაშე წარვმდგარვიყავი, საკუთარი ფიქრი და განცდა გამომეხატა და გამეცნო. ეტყობა სიახლოვემ და ჩემმა აქტიურობამ განაპირობა, რომ გაზეთის სამოცი წლის იუბილეზე, რომელიც გრანდიოზულად აკ. ხორავას სახელობის სახალხო თეატრში გაიმართა, მომეცა საშუალება ცნობილ ჟურნალისტებთან ერთად მივსალმებოდი და გამომეხატა საკუთარი დამოკიდებულება და მადლიერება საყვარელი გაზეთის მიმართ. მახსენდება ღვაწლმოსილი ჟურნალისტები, რომლებმაც დიდი ამაგი გაიღეს გაზეთის ხანგრძლივ წარმატებებში.

წლების ქროლვის მიუხედავად მეგობრობა გაზეთთან არ შენელებულა. ვცდილობ სხვადასხვა აქტუალურ თემებზე წერილები, რესპუბლიკურ გაზეთებთან ერთად ვანდო «კოლხეთს». ის კი დიდი ხნის ნაცნობივით მიბრუნებს სითბოს, რითაც უზომოდ მადლიერი ვარ.

ვულოცავ «კოლხეთსა“ და კოლხეთელების ახალ თაობას 100 წლის იუბილეს. ვუსურვებ ულევი წლები ყოფილიყოს მოწინავეთა რიგებში.

ბორის დავითაია, მწერალი,
სენაკის საპატიო მოქალაქე.
აკ. წერეთლისა და ალ. ყაზბეგის
პრემიების ლაურეატი.
„ღირსების ორდენოსანი»

ბ. მილუტინი, ბ. შენგელია, გ. ხობაქიძე, ე. გადელია,
ი. გვასალია, ს. ჯუჭავა (70-იანი წლები)

შთამომავლები

მართალი სიტყვის სადარაჯოზე

მინდა თითოეულ სენაკელს, განსაკუთრებით კი გაზეთ «კოლხეთის» შემოქმედებით ჯგუფს მივულოცო გაზეთის 100 წლის იუბილე. საქართველოში ალბათ ცოტა მოიძებნება ბეჭდვითი ორგანო, რომელმაც გაუძლო ათასგვარ დაბრკოლებასა თუ წინააღმდეგობას და კვლავ დგას მართალი სიტყვის სადარაჯოზე სენაკელთა მხარდამხარ. ჩემთვის, როგორც გაზეთის პირველი რედაქტორის, ანტონ მზარელუას, შვილიშვილისთვის განსაკუთრებით ძვირფასია «კოლხეთი» და ვისურვებდი რომ კიდევ დიდხანს გაეხარებინოს მისი ერთგული მკითხველი.

პატივისცემით
გიორგი მზარელუა

განსაკუთრებული როლი

სენაკის საზოგადოებას, გაზეთ ,,კოლხეთის", შემოქმედებით ჯგუფს ვულოცავთ გაზეთის ასი წლის საიუბილეო თარიღს.

ჩვენი ოჯახისათვის დღევანდელი დღესასწაული განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რადგან წლების მანძილზე გაზეთის წინსვლისა და წარმატების მიღწევაში მამას, ბორის შენგელიას, სხვა ღირსეულ კოლეგებთან ერთად გამორჩეული წვლილი მიუძღვის, განვლილი 100 წლის მანძილზე მრავალი თაობა აღიზარდა, რაშიც გაზეთი განსაკუთრებულ როლს თამაშობდა, იმედია, ეს ტრადიცია კვლავაც გაგრძელდება და მომავალში იგი მრავალ ღირსეულ ადამიანს გაუზრდის რაიონს და ქვეყანას.

პატივისცემით
შენგელიების ოჯახი

გაზეთი კულტურა იყო

დღეს, იქნებ, ვინმეს გაუკვირდეს, თუკი ვიტყვი, რომ გაზეთი კულტურა იყო. თან ისეთი კულტურა, წამალივით ყოველდღე რომ უნდა მიგეღო ადამიანს. ვამაყობ, რომ ეს «კულტურა» ჩემს სახლში გამჯდარი იყო და მეც, მას ბავშვობიდან ვეზიარე. თბილისში, ბაბუას უნიკალურ ბიბლიოთეკას ყოველდღიური პრესა ამშვენებდა. გენეტიკური თუ იყო, იგივე ხდებოდა სენაკში, ჩვენს ოჯახშიც. თამამად ვამბობ, რომ გაზეთი და კერძოდ «კოლხეთი» იყო ჩემი უსაყვარლესი, რადგან იქ მახსენებდნენ რაიმე აქტივობისათვის, იქ ვანთავსებდი, მოგვიანებით, ჩემს სტატიებს და ზოგჯერ ლექსებსაც.

მამა, გალაქტიონ რობაქიძე, გაზეთ «კოლხეთის» რედაქციის თანამშრომელი, სხვადასხვა პასუხსაგებ პოზიციაზე მყოფი, უჩვეულოდ კრიტიკული იყო ჩემს მიმართ, სურდა სწორი ხედვა მქონოდა, სწორი პოზიცია და ჩემი ურთიერთობა გაზეთთან მხოლოდ სიყვარულის მომტანი უნდა ყოფილიყო. მე სტამბაც ზედმიწევნით ვისწავლე თავისი სირთულით, შრიფტებით, აწყობა-დაკაბადონებით. მეგონა, მამასავით ჟურნალისტი გავხდებოდი, სხვებიც ასე თვლიდნენ, მაგრამ ბედისწერამ სხვა გზაზე გამიყვანა, თუმცა, პრესა ჩემთვის მშობლიურად დარჩა...ისევ გენის წყალობით და გაგრძელებით, ალბათ. აქვე მინდა გავიხსენო გაზეთ „კოლხეთის" ერთგული მკითხველის, თამაზ კანკიას სხარტულა მამასადმი ერთერთ იუბილეზე: «შენი განძი და სიმდიდრე, წიგნია და გაზეთი, გალაქტიონ რობაქიძე, ვინ დაგწყევლა ასეთი?»

მახსოვს, მამას ღამენათევი და დაღლილი თვალები, როცა ათენებდა სხვებთან ერთად ახალი სიტყვის, ამბების გასაჟღერებლად, გაზეთის ახალი ნომრის «დასაბადებლად», რომ დილით საზოგადოება იდეურად გაძლიერებულიყო. მაშინ ასე იყო, პრესა ადამიანებს არ ზაფრავდა, აწვდიდა იმას, რაც აუცილებელი იყო სულიერებისათვის, ახალ ადამიანთა გასაცნობად, რომლებმაც თავი გამოიჩინეს სამშობლოს ან/და რაიონის კეთილდღეობისათვის. კრიტიკაც იყო, ზომიერი და არა ისეთი, მავანს რომ «თავს მოაკვლევინებდა».

თითქოს პაწაწუნა, სულ ოთხგვერდიანი პერიოდული გამოცემა, სენაკის რაიონული გაზეთი «კოლხეთი», თავის სათქმელს ამბობდა ამაყად, თამამად, ყოველგვარი სიყალბის და შიშის გარეშე. მას ქმნიდნენ ის ადამიანები, ვისთვისაც ჩემს მიერ ზემოთნახსენები «კულტურა» შესისხლხორცებული იყო და მასში მამას დიდი წვლილიც ერია.

მინდა, ქედი მოვიხარო იმ ადამიანების ხსოვნის წინარე, რომლებიც ალამაზებდნენ ქალაქს, ასაზრდოებდნენ მოსახლეობის სულებს და აფრთიანებდნენ ახალ თაობებს, რომელთაც 1923 წლიდან მხრებით მოქონდათ გაზეთი «კოლხეთი», მადლობა რედაქციის ყველა იმ თანამშრომლებს, რომლებიც დღესაც აგრძელებენ «კოლხეთის» სიცოცხლეს.

მაია რობაქიძე-ძიძავა

,,ჩანგი გიკურთხოს ზენამა"

გაზეთი ,,კოლხეთი" თითოეული სენაკელისათვის ხელიხელ საგოგმანები სულიერი საზრდოა. იგი 100 წელია (ერთი საუკუნე) ჩვენი და ჩვენი წინა თაობების ოჯახების მუდამ სასურველი სტუმარია. მას სენაკის ყოველდღიურობის წარმოჩენასთან ერთად ჩვენთან მოაქვს სასიკეთო მომავლის რწმენა და იმედი.

იგი უახლესი და სასურველია ჩემი ოჯახისათვის, რომლის ხელმძღვანელმა მამაჩემმა, სოლომონ კუჭავამ მთელი მისი ცხოვრება დაუთმო სენაკელთა სხვადასხვა დროის გაზეთებისა: ,,მთლიანი კოლექტივიზაციის", ,,ავანგარდის", ,,კოლხეთის ცისკრის", ,,კოლხეთის" არსებობას და საქმიანობას.

სახელი და დიდება წინაპრებს, რომლებმაც ზურგით ატარეს გაზეთის დაბადება – ,,დავაჟკაცების", არსებობის მთელი ტვირთი.

ულევ ძალას, ენერგიას გისურვებთ თქვენ, დღევანდელი გაზეთის თანამშრომლებო, ჩემო უახლოესო და საპატივცემლო ადამიანებო, მიუხედავად სიძნელეებისა ასეთი მონდომებით, რუდუნებით, რომ აგრძელებთ ჩვენი ,,კოლხეთის" სახელოვან ტრადიციას.

თქვენი გარჯის საფასურად მინდა დიდი ვაჟას ლექსი მოვიშველიო.

,,მადლობელი ვარ გულითა
შოთაის სულის ლხენამა!
სამშობლოს სამსახურისთვის
ჩანგი გიკურთხოს ზენამა!"

დამირ კუჭავა,
სენაკის საპატიო მოქალაქე

ი. ცირამუა, მ. აბშილავა, ი. წირლვავა, ბ. შენგელია, ა ეჯიბია, გ. გიგიბერია

რაც ცხოვლად მახსოვს

მთელი ცხოვრება სათუთად ვინახავ, ხშირად ვიხსენებ, ახლა კი მინდა თქვენც გაგიზიაროთ, ის რაც „ცხოვლად დააჩნდა ჩემს სულს", ის რაც სამსახურეოებრივი გზის დასაწყისს, მთლიანად გაზეთ „კოლხეთის" რედაქციას და მის ადგილობრივ რადიო გადაცემათა განსყოფილებას უკავშირდება. რედაქციაში გამორჩეული ბუნებისა და ცოდნის ადამიანები მუშაობდნენ, რომელთა სითბო დღემდე მომყვება, ამიტომაც მიმიხაროდა იქ, მიყვარდა და დღესაც მიყვარს მშობლიური რედაქცია, სადაც 32 წელი დავყავი.

რადიოგადაცემა წარმოებდა კავშირგაბმულობის შენობიდან, სადაც სპეციალური აპარატურა იყო დამონტაჟებული. კვირაში სამჯერ გადაცემა ეთერში გადიოდა და მოსახლეობას ამცნობდა რაიონის ახალ ამბებსა და იმდროინდელ, მნიშვნელოვან მიღწევებს, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეები კი ლექსებითა და სიმღერებით ულოცავდნენ მათ დღესასწაულებს, გადაცემის მოსმენა შეეძლოთ ყველა წარმოება დაწესებულებაში, ქალაქის ბაღში. კმაყოფილი მსმენელები თბილ სიტყვებს არ იშურებდნენ ჩემს მიმართ, რაც სასიამოვნოდ მახსოვს.

ადგილობრივი რადიოგადაცემის რედაქტორი იყო ქალბატონი ელენე ადამია, ღირსეული, ინტელექტით გამორჩეული, ოჯახზე გადაგებული ადამიანი. მისი ცხოვრების აზრი იყვნენ შვილები: თამთა და ლევანი, ძმისშვილი ცარუ ადამია. ამ უკანასკნელს ასე მიმართავდა ხოლმე: „ქუგალუ სკან მამიდაქ"

პირადად ჩემთვის ის ძვირფასი, საყვარელი და დედასავით ახლობელი იყო. ამიტომ ძალიან მიყვარდა და მასაც ვუყვარდი. გარდაცვალებამდე ორი დღით ადრე ვინახულე, ორივე ავტირდით, მითხრა: „ყველაფერი ისე მიდის, როგორც ღმერთს უნდაო". სანთელ- საკმეველი არ მოაკლოს უფალმა მის კეთილშობილ სულს.

ჩემს სენაკელებს ვულოცავ გაზეთის 100 წლის იუბილეს, ვუსურვებ რადიოს აღდგენას, რათა მოსახლეობას კვლავ ჰონდეს საშუალება უსმინოს ადგილობრივ გადაცემებს, რომელიც ასე იწყებოდა: „ლაპარაკობს სენაკი!"

ნაირა ჯღარკავა,
ადგილობრივ რადიოგადაცემათა ყოფილი დიქტორი

შეხვედრა ვეტერანებთან
(70-იანი წლები)

ჩვენი გაზეთის უოფილი რედაქტორები



მამანტი ქვახცხავა

ღუდმილა მონეხელია

მოჯოდი აბშილავა



ბოხის შენგელია

დროსთან ჭიდილში

ყველაფერს აქვს თავისი დასაწყისი და დასასრული, ,,საწყისი'' მომდინარეობს პირობითად რაღაცის ჩასახვით, დაბადებით, რომელიც შემდეგ მატიანის ნაწილი ხდება. ვინაიდან ჩემი საგაზეთო სტატია ეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა პრესა და მისი კონკურეტული სახე - გაზეთი, მინდა შევეხო იმ სათავეს, რომელმაც ის შვა...

ისტორიულად ადამიანთა შორის ურთიერთობას აქვს თავისი პრიმიტიული საწყისები, რომელიც ვლინდება მათ შორის სხვადასხვა პრობლემებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანის, ან თუნდაც უმნიშვნელოს განმარტებაში, გადმოცემაში, რომლის კრებსითი სახელწოდებაა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა, სწორედ ინფორმაციაა ის მამოძრავებელი არტერია, რომელიც ზოგადად აკავშირებს ადამიანებს და უძველესი პერიოდიდან დღემდე უდიდეს როლს ასრულებს საზოგადოებების ორგანიზაციული ფორმების ჩამოყალიბებაში.

ინფორმაციის ადრესატამდე დაყვანა ხდება სხვადასხვა საშუალებებით - ზეპირსიტყვიერად, წერილობით (გაზეთი, ჟურნალი), თანამედროვე ცივილიზაციამ, ასევე წარმოშვა მისი გავრცელების ისეთი მაღალტექნოლოგიური საშუალებები, როგორიცაა რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი და ა.შ.

შედარებით მცირე მასშტაბებით ინფორმაციის მატარებელ ველს, მეცხრამეტე საუკუნიდან მოყოლებული დღემდე წარმოადგენს ,,გაზეთი», რომელიც ავრცელებს ცნობებს პოლიტიკის, მეცნიერების, ხელოვნების სპორტის და სხვათა შესახებ... ბეჭდვითი ორგანოს ერთ-ერთი სახის გაზეთის გამოცემა მოითხოვს მაღალკვალიფიციურ, შრომისმოყვარე, პასუხისმგებლობით გამსჭვალულ პერსონალს, იმისთვის, რომ მოხდეს საჭირო ინფორმაციის მოგროვება, გადამოწმება და ობიექტური სახით გადმოცემა...

სწორედ ზემოაღნიშნული კვალიფიკაციის მქონე პერსონალთა პროფესიონალიზმის, შრომისმოყვარეობის, პასუხისმგებლობის მეშვეობით 1923 წლის პირველ მაისს, სენაკის რაიონში მოხდა ისეთი გრანდიოზული მოვლენა, როგორიც იყო მისი ბეჭდვითი ორგანოს - ,,გაზეთის» დაბადება, რამაც შედეგად შვა ინფორმაციის საზოგადოებამდე დაყვანის ახალი ეპოქა.

სენაკის ,,გაზეთი'' იზრდებოდა, ვითარდებოდა, დროსთან ჭიდილში განიცდიდა ცვლილებებს, მას ჰქონდა თავისი აღმავალი და დაღმავალი პერიოდები. როგორც ზოგადად ,,გაზეთს», ტექნოლოგიურმა პროცესებმა გაუჩინა კონკურენტები - რადიოს, ტელევიზიის, ინტერნეტის სახით, მაგრამ საბოლოოდ მან გაუძლო დროს და 21-ე საუკუნის პირველ მეოთხედს, ასი წლის გამოცდილებით, მიესალმა ღირსეული პათოსით - წინ მომავლისკენ!

ჩემთვის სპეციფიკურია გაზეთზე საუბარი, ის განსაკუთრებით ეფერება ჩემს ქვეცნობიერს, ცნობიერს მიღმა დალექილი ინფორმაცია დაკავშირებულია გენეოლოგიურ ხაზთან, რაც, როგორც მავანნი გაიძახიან, წინაპართა მიერ დატოვებულ ჟურნალისტურ კვალს ტოვებს ჩემს მეში. მოგახსენებთ, რომ სენაკის საგაზეთო ცხოვრებას წლების განმავლობაში სათავეში ედგა ბაბუაჩემი ვლადიმერ (ილო) წირღვავა, რომელმაც მცირედი შემოქმედებითი აგური დადო რაიონის და ზოგადად ქართული ჟურნალისტიკის მშენებლობის გზაზე...

მისი ჟურნალისტიკური ცხოვრების დროის ძირითადი მონაკვეთი უკავშირდება სენაკის ბეჭდვით ორგანოს - გაზეთს, მან საკმაოდ ნაყოფიერი ოთხი ათეული წელი იმოღვაწევა რაიონული გაზეთის რედაქციაში, გამოიარა მისი საქმიანობის ყველა რგოლი, დაწყებული კორექტორობიდან, იყო ლიტერატურული მუშაკი, განყოფილების გამგე, პასუხისმგებელი მდივანი. წლების განმავლობაში რედაქტორობდა გაზეთ ,,ავანგარდს». აქტიურად თანამშრომლობდა რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებთან...

რაც შეეხება ბაბუაჩემის საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ის აქტიურად ზრუნავდა ახალგაზრდებზე, მათ შორის სტუდენტებზე, მან ცხაკაიას რაიონულ ბიბლიოთეკასთან შექმნა მდიდარი წიგნადი ფონდი უმაღლესი სასწავლებლების დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტებისთვის, აგროვებდა მდიდარ ფოლკლორულ მასალას, აქტიურად ეხმარებოდა არქეოლოგიურ ექსპედიციებს, იღვწოდა ძველი ქართული კულტურის ძეგლების, მატერიალურ განძეულობათა ცალკეული ნიმუშების გამოვლენისა და დაცვისათვის...

ბაბუაჩემის ვლადიმერ (ილო) წირღვავას შემოქმედებით მოღვაწეობას აქტიურად ეხმიანებოდნენ მისი მეგობარი საზოგადო მოღვაწეები - მწერლები, პოეტები, ისტორიკოსები,

ბაბუაჩემის პროფესიული თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობა არ დარჩენილა სახელმწიფოს თვალს მიღმა, მათ სიმბოლურად დაუაფსეს მისი ღვაწლი, ის დაჯილდოვებული იყო მრავალი მედლითა და სიგელით, მინიჭებული ჰქონდა კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება, იყო სსრკ-ის ჟურნალისტთა კავშირის წევრი მისი დაარსების წლიდან...

მინდა მივულოცო – ,,გაზეთ კოლხეთის» რედაქციას და მთელს მუნიციპალიტეტს - სენაკის ბეჭდვითი ორგანოს - ,,გაზეთის» დაბადების 100 წლის იუბილე, ვუსურვო წარმატებები პროფესიულ ასპარეზზე!!!

გიორგი გარუჩავა

ლამაზი მოგონებები

გაზეთ ,,კოლხეთთან'' ჩემს ოჯახს მრავალწლოვანი ურთიერთობა აკავშირებს, ჩემი მამა ბორის მილიუტინი წლების მანძილზე იყო გაზეთ ,,კოლხეთის» სარედაქციო კოლეგიის წევრი, სხვადასხვა განყოფილების გამგე, შემდეგ ვიდრე გაზეთ ,,კომუნისტის» საკუთარ კორესპონდენტად დანიშნავდნენ სამეგრელოს ზონის 4 რაიონში, იყო გაზეთ ,,კოლხეთის» რედაქტორის მოადგილე. მახსოვს როგორი პასუხისმგებლობით ამზადებდა საგაზეთო წერილებს, სადაც აშუქებდა სენაკის რაიონის ცხოვრების მრავალ მხარეს, მათ შორის ხელოვნებასა და სპორტს, როგორი კარგი კოლეგიალური ურთიერთობა ჰქონდა თავის თანამშრომლებთან.

დიდი და ლამაზი მოგონებები აკავშირებდა ჩვენს ოჯახს ,,კოლხეთის» არაჩვეულებრივ ჟურნალისტებთან და თანამშრომლებთან – ილო წირღვავასთან, გალაქტიონ რობაქიძესთან, ბორის შენგელიასთან, რევაზ ჯანჯღავასთან,ლამარა გადელიასთან, ანდრო ეჯიბიასთან, იონა გვასალიასთან, გოგოლა მზარელუასთან, ლუდმილა მოწერელიასთან, ტატიანა კალანდარიშვილთან...

და უკვე ჩემი მეგობრული და ასევე ლამაზი ურთიერთობა გაზეთ ,,კოლხეთის» დღევანდელ რედაქციასთან, ქალბატონებთან: ნინო სართანიასთან, მედეა ბაღათურიასთან, მარი მიქაბერიძესთან, მაია გერგაიასთან, ჯულიეტა ჩაჩიბაიასთან...

გაზეთ ,,კოლხეთის» შემოქმედებით კოლექტივს,წრფელი გულითა და სიყვარულით გილოცავთ საუკუნოვან იუბილეს, გისურვებთ აღმასვლას,გაზეთისათვის ჩვეული აქტივობით, ინტერესით და საუკეთესო პუბლიკაციებით მომავალშიც გააშუქოთ სენაკელების მუხლჩაუხრელი შრომა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის კეთილდღეობისა და წინსვლისათვის.

რუსუდან მილიუტინი

ხეზო ჯანჯღავა

თამაზ ჯანჯია

ფოტოალბომი

სხედან (მარცხნიდან): იოსებ გვაძაბია, ნატო ვაჩნაძე,
კალისტრატე შარტავა დგანან: აკაკი ჩაჩიბაია, ნოე შონია

ჰ. ჯანჯღავას ფოტოარქივიდან

შალვა დადიანი სენაკში

ნინო სახთანია, შპს „საინფორმაციო ცენტრის" დირექტორი, მთავარი რედაქტორი

მედეა ბაღათუჩია, შპს „საინფორმაციო ცენტრის" დირექტორის მოადგილე, რედაქტორი

მაია გეჩგაია, კორესპონდენტი

მარიჯა მიქაბერიძე, კორესპონდენტი

ეკატერინა ჩაჩიბაია, ბულიტერი

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის
პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის
ინტერესებს. ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური
წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ: 223779,223711, 223499